გაზეთი ბევრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№4 (899) 27 - 28 იანვარი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

დიტო გელოვანი

## არ გვინდა, ვალიკო, ქიკარტი!

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

## ოლეგ პანფილოვი: „თუ, ღმერთმა არ ქნას, რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია გააგრძელა, ხელისუფლებაში „ოცნება“ კი არა, გიორგაძე, ხუბუტია და აბაშიძე იქნებიან!“

რატომ არ შეიძლება უკრაინის მოვლენების სისხლიან 7 ნოემბერსა და 26 მაისთან შედარება



გვ. 4-5

### გიორგი თარგამაძე პოლიტიკიდან ტელევიზიაში ბრუნდება?



გვ. 7

„ვნეშტორგბანკისა“ და კგბ-ს საიდუმლო კავშირები





გვ. 6

### ფინანსური ბერკეტი, რომელსაც კრემლი საქართველოს წინააღმდეგ აამუშავებს!

### შალვა ნათელაშვილი საპროტესტო აქციებით იმუქრება!



გვ. 3

4 000 დასაქმებული ხუდონჰესზე და 85 000 000 აშშ დოლარამდე შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტში

გვ. 9

დიტო გელოვანი

**„დილით ყველამ უნდა გავიაროთ ქალაქში და თუ გავლა არ გინდა, გიშოვი საპატიო ტალონს“. „რას?“ „ორ ტალონს, ჰალე“. „დამშვიდებათა ნავსაყუდარი, სწორუპოვარი მარშალი ედმონდო ბეტანკური მშვიდობის დღეებს გისურვებთ ყველაას“ — საზეიმოდ იყვირეს სადღაც. „ახლაც არ გჯერა? „რა?“ „რომ რო გაილო მთავარი კარი!“ „ვისი...“ „მთელი ქალაქის, ვისი...“ — მშვიდობის საათები დაიწყო. „სადამდე...“ „საღამოს რვამდე... ვითომ არ იცი, არაა, ჰალე — და უცებ შეშინდა — შენ ისე მიამიტად მელაპარაკები, ალბათ რაღაცას მიპირებ, ჰალე, რა დაგიშავე ასეთი, რა, ჰალე...“**

***(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)***

# არ გვინდა, ვალიკო, ჭიკარტი!



თქვენი არ იყოს და, მეც ასე მეგონა, „უგრეხელიძე“ ნიშნავს იმას, რომ ამ გვარის მატარებელი პიროვნება არ იგრიხება, ანუ რაც არის, ის არის, დრო და ვითარება მასზე არ მოქმედებს, მისი „ჰო“ არის „ჰო“ და მისი „არა“ — „არა“. მოკლედ, არ იტყლარჭება და არ იგრიხება. ასე მეგონა, მაგრამ ვცდებოდი. როგორც ამიხსნეს, თურმე გვარის ფუძე ყოფილა არა გრეხვა, არამედ რუსული სიტყვა „გრეხი“, რაიც ქართულად ცოდვას ნიშნავს, შესაბამისად, უგრეხელიძე ნიშნავს ადამიანს, რომელსაც გრეხი არ ჩაუდენია, ანუ — უცოდველს.

სევდია უცოდველი... ვფიქრობ, უგულავას ისევ უცოდველი ჯობს.

გურული მივა მამაოსთან — მამაო, თავის ტკივილები მაწუხებსო. მარხულობ? დიახ. ლოცვებს კითხულობ? დიახ. აღსარებას აბარებ? დიახ. ცოლს ხომ არ ღალატობ? არა. ტყუილები გიყვარს? არა... ჰოდა, ეტყობა, შარავანდედი გიჭერსო — მამაომ.

ვიღაცას შარავანდედი უჭერს, ვიღაცას ანძა ეგრძელება და ემსხვილება. ცხოვრება რთულია და ვერაგი, გიგი — უგულავა, სევდია — უცოდველი, თუ, რა თქმა უნდა, ტელეანძის ჩაქრობას ცოდვად არ ჩავუთვლით.

„მიმდინარე წლის 20 იანვარს, დაახლოებით 18:00 საათისთვის თბილისის გარეგანათების ქსელის ჩართვისას, თბილისის მერიის დავალებით, არ განხორციელდა სატელევიზიო ანძის გარეგანათების ჩართვა. აქვე მოგახსენებთ, რომ მოცემული მომენტისთვის არ არსებობდა არც ფინანსური და არც ტექნიკური პრობლემა სატელევიზიო ანძის განათებისთვის, რაც დადასტურდა იმ დღესვე 23:00 საათისთვის მისი ჩართვით”, — ნათქვამია „სინათლის ქალაქის“ წერილში, რომელსაც ხელს აღნიშნული კომპანიის დირექტორი აწერს“ — ეს, ირაკლი შიხიაშვილს რომ ჰკითხო, სევდია უგრეხელიძის საბოტაჟ-შანტაჟისტობას ამტკიცებს, თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, სევდია ამ შემთხვევაშიც უცოდველია იმდენად, რამდენადაც ყველანი კარგად ვხვდებით, რომ უცოდველი ქალბატონი უგულო ვაჟბატონის მითითებებს ასრულებს და თუ ასე არ არის, შანტაჟისტის ადგილი ციხეშია, ხოლო თუ ასეა, თავად უგულავა უნდა იყოს იქ, სადაც ჯერ არს — მატროსოვზე ან რომელიმე სხვა ოვ-ზე, მაგალითად კუტუზოვზე.

გასულ კვირაში არც ერთი იყო მატროს-ოვზე და არც მეორე კუტუ-ზოვზე, სევდია იყო ორთაჭალაში, უგულავა — ბრიუსელში, ხოლო ვინ იყო კუტუ-ზოვზე, უფრო სწორად, ამ ქუჩის ბახტრიონსა და მიცკევიჩს შორის მონაკვეთზე, ეს ყველასთვის ცხადი და გასაგებია. იქ იყო, არის და, როგორც ჩანს, კვლავაც დიდხანს დარჩება მისი უდიდებულესობა ქართველი ერი, რასაც ეს ნიუსიც ამტკიცებს:

„ჩახუტების საერთაშორისო დღეს „თბილისი 2015“ და „თბილისი 2014“ ეხმაურებიან. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტიდან აცნობეს, 21 იანვარს, მსოფლიო ჩახუტების საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. „ამ დღეს თქვენ შეგიძლიათ, ჩაეხუტოთ ყველას: ნაცნობს თუ უცნობს, პატარას თუ დიდს, კაცს თუ ქალს. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტმა და ევროპის 2014 წლის მძლეოსნობის გუნდური ჩემპიონატის მე-3 ლიგის ჩემპიონატის „თბილისი 2014“-მა ერთობლივად გადაწყვიტეს, გამოეხმაურონ ამ დღეს. აღსანიშნავია, რომ სწორედ 21 იანვარს მოხდება „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015“-ის თილისმების — ვეფხვისა და ბიჭის პრეზენტაცია. წარდგენის შემდეგ მოხდება ვეფხვისა და ბიჭის მასკოტების გაცნობა საზოგადოებისთვის უჩვეულო, მაგრამ სახალისო გზით, რომელსაც ჩახუტების აქცია ეწოდება. აქციაში ასევე მონაწილეობას მიიღებს ევროპის 2014 წლის მძლეოსნობის გუნდური ჩემპიონატის „თბილისი 2014“-ის თილისმა, ციყვი კოკო“, — აცხადებენ საორგანიზაციო კომიტეტში“.

ეს ტრადიცია, თურმე, 1986 წელს ამერიკაში, დაუმკვიდრებიათ და აი, გადის სულ რაღაც 28 წელი და თბილისში ეწყობა „ვეფხვისა და ბიჭის პრეზენტაცია“ და „ვეფხვისა და ბიჭის მასკოტების გაცნობა“.

ეეე... ეგენი სად იყვნენ, მოყმის დედა ვეფხვის დედას რომ ეხუტებოდა? ეგენი გვასწავლიან ჩახუტებას? თუ გვასწავლიან და, მაშინ ის აგვიხსნან, რას ნიშნავს „მასკოტი“ და ვის საპატივსაცემოდ დაარქვეს იმ ციყვს კოკო. მე ერთადერთი კოკო ვიცი და ისიც, ციყვი კი არ არის, არამედ ქამელეონი.

„ხვალინდელ აქციაზე მოსახლეობის ყურადღებას შემდეგი სლოგანით მივიქცევთ: „ჩაგვეხუტე და გადავდგათ ნაბიჯი მომავლისკენ!“ — განაცხადეს საორგანიზაციო კომიტეტში და ამ ნიუსის წაკითხვის შემდეგ იყო, ვიღაცამ (არ მახსოვს, ვინ) თავისთვის რომ ჩაილაპარაკა: „თქვენ კი ჩაეხუტეთ არმაგედონის ზანგისას“.

სწორედ ამ ჩახუტების დღეს იყო, კიევში ადამიანები რომ დაიღუპნენ, თბილისში კი, პარლამენტის (თუ, ყოფილი პარლამენტის?) შენობის წინ რამდენიმე თავზეხელაღებულმა დევიზით „შეწყდეს დიქტატურა“ გამართა აქცია. როგორც ნაციონალური მოძრაობის წევრმა, დეპუტატმა გიორგი ბარამიძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, ის აქციაზე იმყოფებოდა, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მოქალაქე, რომელიც მხარს უჭერს უკრაინელი ხალხის ნებას, რათა ისინი შევიდნენ ევროპულ ოჯახში.

სამი რამ ყოფილა ამქვეყნად უსასრულო — დრო, სივრცე და ჩვენი ქაჯობა, თუმცა, ქაჯობაც არის და ქაჯობაც. ჩვენი ქაჯობის თავისებურება არის ის, რომ ყველაზე დიდი ქაჯები სწორედ ისინი არიან, თავს პრადვინუტებსა და ელიტას რომ უწოდებენ. ეკრანებიდან ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო გამქრალი ათიოდე გოიმის მონაწილეობით გადაღებული ვიდეორგოლი, რომელშიც გოიმები საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დროულად დაკომპლექტებას ითხოვდნენ, რომ გაჩნდა ახალი — უკრაინელებო, თქვენს გვერდით ვართო. ეგენი ისევე არიან უკრაინელების გვერდით, როგორც გიგი უგულავა ლას-ვეგასში ნაგვის მანქანების გამოფენაზე. ხომ გახსოვთ — „კაგდა ჩელავეკ იდიოტ, ეტა ნადოლგა“ და ესეც ხომ ცხადია — როცა ადამიანი არის ასო (ანუ ენჯეო), ესეც სამუდამოა. არადა, ქართველი ასო-ების შემხედვარე, უკვე ბევრი ოცნებობს, თვითონაც ასო იყოს, რამეთუ არის უსაქმური, მაგრამ ჰქვია საქმიანი, არ მუშაობს, მაგრამ ჭამს, ტუტუცია და ჭკუას გარიგებს... კასმანავტა ვიძიტ, აკადემიკა ვიძიტ, იშტოიანა ვიძიტ...

გასულ კვირაში კი ასო-ებმა თვით პრეზიდენტი იხილეს, უფრო სწორად, პრეზიდენტმა დაიბარა ასოები და ძალიან სასაცილო იყო კომენტარი, რომელიც გიორგი მარგველაშვილმა შეხვედრის დასრულების შემდეგ გააკეთა: „ასეთი შეხვედრები პოლიტიკოსებს აძლევს შესაძლებლობას, არ დაკარგოს კავშირი საზოგადოებასთან, ხალხთან“. არ გაინტერესებთ, ვის გულისხმობდა მარგველაშვილი „ხალხში“ და „საზოგადოებაში“? — ნინო ლომჯარიას, ეკა გიგაურს, კახა კოჟორიძეს, თამარ რუხაძეს, ელენე ხოშტარიას, თამარ გამისონიას, მანანა ქოჩლაძეს, ლევან ავალიშვილს და ვახუშტი მენაბდეს.

ეჰა, მეომარნო!!!

ეს ის შემთხვევაა, როდესაც უსაქმური კაცი, მახათის ნაცვლად, საქსოვ ჩხირებს იყრის, მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ზოგიერთისა თუ ზოგ-ზოგიერთის ქაჯობას საზღვარი არ გააჩნია, ამისი უამრავი ნივთმტკიცება არსებობს, მაგრამ ახლა ერთი ნიუსმტკიცებით დავკმაყოფილდები — „სამი არასამთავრობო ორგანიზაცია პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან გამართულ შეხვედრაში ვერმონაწილეობის გამო, პროტესტს გამოთქვამს. მათ პრეზიდენტის სახელზე სპეციალური მიმართვა გაავრცელეს“.

„არასამთავრობო ორგანიზაციები: „ახალგაზრდა ადვოკატები“, „საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია“ და „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ ადასტურებს პატივისცემას იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა მიმართ, რომლებიც ზემოხსენებულ შეხვედრას ესწრებოდნენ და არ აყენებს ეჭვქვეშ მათი კვალიფიციურობის საკითხს, თუმცა, ამავდროულად...“ — იმ ნიუსის ეს ნაგლეჯი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სასწრაფოდ უნდა შეიქმნას დაგინების ინსტიტუტი, რომელიც მყისიერ რეაგირებას მოახდენს ხოლმე. პატივისცემა და კვალიფიციურობა არა, კვერცხი. თუ გინდა, ეგეთ შეხვედრებზე მიგიწვიონ, უნდა იყო უვიცი და თავხედი და აბა, რომელი „ახალგაზრდა ადვოკატი“ და რომელი „ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტი“ შეედრება ზემოთ ჩამოთვლილ ასო-ებს უვიცობასა და თავხედობაში? ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, კახა კოჟორიძე ელოდება, რომ იმ კანონპროექტებთან მიმართებაში, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებისთვის მიუღებელია, პრეზიდენტი ვეტოს უფლებას გამოიყენებს“, — ამაზე მეტი თავხედობა გაგიგიათ?

ანაც ეს: „ხუდონის გარეშე ქვეყანა ეკონომიკურ სარგებელს ვერ ნახავს — ამის შესახებ საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივაში აცხადებენ“.

ეს საკითხი — ხუდონი და ეკონომიკური პანაცეა — თავისთავად, სპეციალისტების მსჯელობის საგანი უნდა იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა რამ მაინტერესებს: არსებობდა თუ არა ეს ასო — „საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივა“ მანამ, სანამ ხუდონის პრობლემა დადგებოდა და იარსებებს თუ არა მას შემდეგ, რაც ეს პრობლემა მოგვარდება?

ან კიდევ ეს: „პარტია „თავისუფალი საქართველო“ მოქალაქეებისთვის მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული ბინების დაკანონებას მოითხოვს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ აღნიშნული პარტიიდან აცნობეს, „თავისუფალი საქართველოსა“ და ბინათმოსარგებლეთა საინიციატივო ჯგუფის წევრები კანონში ცვლილებების შეტანის ინიცირებისთვის ხელმოწერების შეგროვებას აგრძელებენ“.

ხომ ცხადზე ცხადია, რომ მოხვდებიან თუ არა პარლამენტში (თუ მოხვდებიან), ბატონები — კუკავა და შალამბერიძე ისევე დაივიწყებენ ამ ადამიანების პრობლემას, როგორც სკოლაში ნასწავლი ორუცნობიანი განტოლების ამოხსნა დაივიწყეს. შეგახსენებთ, რომ მოქმედი პარლამენტის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წევრი ხმალამოღებული დარბოდა და ბრენდმაღაზიებზე ქართული წარწერების გაკეთებას მოითხოვდა, ახლა კი აღარ მოითხოვს, რადგან ალაზანი დიდია და ქართული წარწერები ახლა უკვე მაგრად კიდია.

ხოლო ლარს კიდია ხადური. „საქართველოს ფინანსთა მინისტრი ლარის კურსის დასტაბილურებას და გარკვეული მოცულობით გამყარებას პროგნოზირებს, — ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა ნოდარ ხადურმა უსაფრთხოების საბჭოს დღევანდელი სხდომის შემდეგ განაცხადა“, — წაიკითხა ლარმა ეს ნიუსი და იმდენი იცინა, იმდენი იცინა, რომ დაეცა, აგრძლებს სიცილს და, შესაბამისად, აგრძლებს დაცემასაც.

მე კი, ბევრი ვიცინე და ლამის დავეცი, როდესაც ეს სათაური წავიკითხე — „ეკა ბესელია დავით სარსანიაზე ზეწოლას უარყოფს“.

განა ეს არ არის სასაცილო? — „ჩმორებმა“, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ბესელიას გაუპრავეს ყველაფერი. ბესელიას, რომელსაც აქვს ფეოდალური დამოკიდებულება და დღეიდან უკვე, ალბათ, დაიწყებს ქალაქის ღრღნას. ჩვენ ამ აბსურდში არ ვმონაწილეობდით“, — აცხადებს, ფოთის საკრებულოს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრი დარეჯან ცხვიტარია“.

იქით ცხვიტარია, აქეთ ბესელია და სევდია და... ფიქრიაც, რომელსაც ატსტუპნიკების ნიშაში კუკავისტებმა შეასწრეს, მაგრამ იშუსტრა და გენდერული ნიშა დაიკავა. „საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საბიუჯეტო დაფინანსება დანამატს 10%-ის ოდენობით იღებს, თუ მის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესი წარმოდგენილია სულ მცირე 20%-ით. ხოლო იმ შემთხვევაში თუ განსხვავებული სქესი 30%-ითაა წარმოდგენლი, ყოველ ათეულში — მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, დაფინანსებაზე დანამატი უკვე 30% იქნება“, — აცხადებს ფიქრია.

მთავარი ხომ დაფინანსებაა? 30% ქალი ნიშნავს დაფინანსებაზე 30%-იან დანამატს, მაგრამ ვნახოთ, რა მოხდება 2014 წლის 17 მაისს, 30% ტრანსსექსუალ დეპუტატობის კანდიდატზე იქნებ 130%-იანი ფინანსური დანამატიც გაიჩითოს?

„ვიცი, ქართველები ამაყი ერია და ეს არის ერთ-ერთი რამ, რასაც ნამდვილად ვაფასებთ. თქვენ ბევრი პრობლემა გადაიტანეთ, არ უნდა დაგავიწყდეთ და არ უნდა დანებდეთ. სიამაყესთან არ არის დაკავშირებული, რომ მიიღოთ იმ ხალხის დახმარება, რომელსაც უყვარხართ... მოვა ხალხი, რომელიც შეეცდება, გაცდუნოთ და გადაგიბიროთ სხვა გზაზე, გადაგიბირონ ჩვენი საერთო ოჯახიდან. არ მოატყუებინოთ თავი, არ აცდუნებინოთ თავი თბილი სიტყვებით, რომ ყველაფერი იქნება კარგად, ისე, როგორც ოდესღაც, წარსულში იყო. თუ გაუძელით ამ ცდუნებას, დარწმუნებული ვარ, შედეგები კარგი იქნება, მაგრამ ვინაიდან ახლა არის კონკრეტული პრობლემები და საჭიროებები, შევეცადოთ, ეს პრობლემები გადავჭრათ იმიტომ, რომ მეგობრები სწორედ ასე იქცევიან“, — ეს სიტყვები ფილიპ დიმიტროვს ეკუთვნის.

ღოღეთში ჩავიდა, ჰუმანიტარული დახმარება ჩაუტანა. ამბობენ, ჭიკარტები იყოო. ღოღეთში ჭიკარტების პრობლემა მოხსნილია. შემდეგ ჩასვლაზე მარკერებსა და საშლელებს ჩაიტანს, მეგობრები ხომ სწორედ ასე იქცევიან?

გაივლის დრო, საქართველო აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი, კახა კოჟორიძე აუცილებლად გახდება ევროკავშირის წარმომადგენელი რომელიმე დაქცეულ, გაუბედურებულ ქვეყანაში, აუცილებლად ეწვევა იქაურ ღოღეთს, მაგრამ არაფერს ჩაუტანს, ჭიკარტებსაც კი.

ჩვენი ქაჯობა ხომ ყველაზე მაგარი ქაჯობაა მთელ მსოფლიოში!

**კ.ბ. (კარგად-ბრძანდებოდეთ)**„სალამ-გამარჯობა, ჰალე, დღეელი იოს დიი მარშალი“. „გამარჯობათ“. უმბერტო, ჯუჯა, საქმიანად იცვამდა, და დროდადრო სარკისკენ აპარებდა შეყვარებულ მზერას. „ნაშუადღევს გრანდჰალე პოლკოვნიკს მიღების საათები აქვს და თქვენც უნდა დაესწროთ, ჰალე“. „რა საჭირო ვარ...“. რა და, მითითებაა ასეთი, ცოტათი უნდა გაიქექოთ, ჰალე“. „რატომ?“ „როგორ თუ რატომ — გაქექილი რომ მივიღოთ თქვენგან, ჰალე“.

***(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)***



# შალვა ნათელაშვილი ხელისუფლებას ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციებით ემუქრება!

## „ვიდრე ივანიშვილის მილიარდებს აღფრთოვანებულები შევნატრით, ის ვანილიანი შოკოლადის აბაზანას აბაზანაზე იღებს!“

რუსუდან შელია
557-100-768

**რატომ მიიჩნევს ბიძინა ივანიშვილის სამოქალაქო სექტორში გააქტიურებას მორიგ „ვირეშმაკობად“, ვის ინტერესებში შედის არასაპარლამენტო ოპოზიციის პოლიტიკური სპექტრიდან გაქრობა, რა მიზნით იწყებს საქართველოს მასშტაბით საპროტესტო აქციებს და დაინიშნება თუ არა მოახლოებულ თვითმმართველობის არჩევნებამდე, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? — „ვერსია“ გთავაზობთ ექსკლუზიური ინტერვიუს ლეიბორისტული პარტიის უცვლელ ლიდერ შალვა ნათელაშვილთან.**

— ბიძინა ივანიშვილის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნება მისი მხრიდან შემოთავაზებული მორიგი ვირეშმაკობაა. პირველი ცდით საზოგადოება გლობალურად მოატყუა და გააცუცურაკა — მიხეილ სააკაშვილი ქვეყნიდან გააპარა, ნაციონალური მოძრაობა კი მთავარ ოპოზიციურ ძალად დაგვისვა, პარალელურად, სააკაშვილის უკანონო ბიზნესები გადაიფორმა და ქვეყანა საკუთარ შპს-დ აქცია. ამ ადამიანმა სრულიად სახელმწიფო იყიდა, მინისტრებად საკუთარი ხელისბიჭები დაგვინიშნა, ხალხი კი, ჟარგონულად რომ ვთქვათ, „დაიკიდა“. ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილს არ სურს, მის მიერ შექმნილ იმპერიას დაშლის საფრთხე შეექმნას, სწორედ ამიტომ ახალი ფანდი გაითამაშა და სამოქალაქო სექტორში გადაინაცვლა, საიდანაც მთავრობას ზურგს გაუმაგრებს.

**— ბიძინა ივანიშვილმა თავიდანვე განაცხადა, რომ პოლიტიკაში დიდხანს არ დარჩებოდა და მოღვაწეობას სამოქალაქო სექტორში განაგრძობდა...**

— ბიძინა ივანიშვილი სამოქალაქო სექტორში მას შემდეგ უნდა გადასულიყო, რაც დაკარგული ტერიტორიების აღდგენის პროცესი დაიწყებოდა, პენსია დაპირებულ500 ლარამდე გაიზრდებოდა, სოფლის მეურნეობაში მილიარდი ლარი ჩაიდებოდა, სამუშაო ადგილები შეიქმნებოდა, მოქალაქეების ბინებიდან გამოსახლების პროცესი გადავადდებოდა, ბანკების დავალიანების რესტრუქტურიზაცია მოხდებოდა და საბანკო პროცენტი დაიწევდა! ბიძინა ივანიშვილმა ერთი დაპირებაც არ შეასრულა, რის გამოც მის მიერ შეკოწიწებულ პოლიტიკურ ძალას დამხობის საფრთხე შეექმნა.

**— ბატონო შალვა, სამოქალაქო სექტორიდან ხელისუფლების დახმარების მცდელობა ალოგიკურად არ გეჩვენებათ?**

— არა.

> **არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით, ივანიშვილი იღბლიან ბორბალს მეორედ დაატრიალებს და მის მიმართ კრიტიკულად განწყობილ ექსპერტებსა თუ საზოგადოების წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ მოისყიდის. მმართველი გუნდი დიდი ხანია, ჯიპებითა და ხელფასებით ნაყიდი ჰყავს. ივანიშვილის განმტკიცებული სამოქალაქო საზოგადოება არ გაიშვა!**

მან სამოქალაქო საზოგადოება კარგად „განგვიმტკიცა“, როცა 2002 წელს სოროსული ორგანიზაციები ჩამოაყალიბა და სოროსის სახელით სააკაშვილი დააფინანსა, შემდეგ კი ფერადი რევოლუცია მოგვიწყო. ამის შემდეგაც, წლების განმავლობაში, სამოქალაქო სექტორის სახელით, მიხეილ სააკაშვილსა და მის პარლამენტს კოლოსალური თანხები დაახარჯა... ივანიშვილი 20 წელია, ხელისუფლებას აკონტროლებს. მან ჯერ ზვიად გამსახურდია დაამხო, შემდეგ შევარდნაძე ჩამოიყვანა და მისი მაფიოზური კლანი შეიფარა. ასე რომ, ყველაფერი გავლილი გვაქვს და, თუ ერმა ბიძინა ივანიშვილის ტყუილი კიდევ ერთხელ „ჭამა“, უმჯობესი იქნება, განაჩენს ხელი თავადვე მოვაწეროთ და სრულიად ერი საერთო სახრჩობელაზე ჩამოვეკიდოთ.

ისე, „ქართულ ოცნებაში“ უკვე ხელჩართული ომი მიმდინარეობს — ივანიშვილის ნდობით აღჭურვილ პირს, სახელმწიფო დაცვის ხელმძღვანელს ივანიშვილის მიერვე დანიშნული პრემიერი არ ენდობა. ამასთან, პრეზიდენტის უშიშროების საბჭოსაც უნდობლობას უცხადებს და ცალკე საბჭოს ქმნის. ფაქტობრივად, ქვეყანაში სამხელისუფლებიანობა გვაქვს. ფაქტია, გუნდში ტოტალური უნდობლობაა, მაგრამ ჩემი აზრით, რაც მალე წაიმტვრევს კოალიცია კისერს, ქვეყანა მით სწრაფად გადარჩება — კოალიცია უნდა დაიშალოს და ახალი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს. სხვა შემთხვევაში, ქვეყნის მომავალი დამთავრებულია!

**— ვიდრე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის იბრძოლებთ, კარს ადგილობრივი არჩევნებია მომდგარი, მასში მონაწილეობის მიიღებთ?**

— ადგილობრივი არჩევნები ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების პროვოცირებისთვის უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ ამ მიმართულებით გარკვეული გეგმები გვაქვს და მოვლენების განვითარებასაც ყურადღებით ვაკვირდებით. არჩევნებში მონაწილეობას კი აუცილებლად მივიღებთ, რადგან 2010 წელს ბოიკოტი არავინ დაგვიფასა. მაშინ პარტიის დაფინანსება და წარმომადგენლობა მსხვერპლად შევწირეთ, ის ადამიანები კი, რომლებმაც გიგი უგულავას გამარჯვება მიულოცეს, დღეს ხელისუფლებაში არიან და მმართველ გუნდს წარმოადგენენ, ამიტომ ამ ქვეყანაში თავგანწირვას რა აზრი აქვს?!

**— არსებობს ვერსია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია კოალიციას ჩამოაყალიბებს. კოალიციაში თქვენც გიხილავთ?**

> **— ქვეყანა კოალიციებმა დაღუპეს! ვისაც პოლიტიკოსობაზე პრეტენზია აქვს, ბრძოლა საკუთარი პარტიის სახელით უნდა გააგრძელოს. ან რომელ პარტიასთან უნდა დავიწყოთ კონსულტაცია, როცა, ფაქტობრივად, ქვეყანაში რეალური პოლიტიკური ძალა აღარ დარჩა?! თავი კუნძულზე მარტოდდარჩენილი რობინზონ კრუზო მგონია...**

საქართველოს მასშტაბით აქციებს უკვე ვატარებთ, ხან კანცელარიის წინ ვიკრიბებით, ხან საყდრისის მშენებლობას ვაპროტესტებთ და ტყე-ღრეში დავდივართ... ეს მასშტაბური საპროტესტო ტალღის მოსამზადებელი პროცესია. „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლების დაკარგვის პათოლოგიურად ეშინია, რასაც 40%-იანი ბარიერიც მოწმობს. საერთოდ, ქვეყანაში სადაც 50%-იანი ბარიერი არ არსებობს, მას სახელმწიფო არ უნდა ერქვას. საარჩევნო კოდექსში ნაციონალური მოძრაობის მიერ შემუშავებული კანონები დღემდე ხელუხლებელია. მეტიც, გაყალბების უკეთ ორგანიზებისთვის „ოცნებამ“ რამდენიმე ცვლილება შეიტანა — ნაციონალების დროს კომისიაში 5-6 პარტია მაინც იყო წარმოდგენილი, ახლა კი საარჩევნო კომისიებში მხოლოდ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა წევრიანდება. საპრეზიდენტო არჩევნებში მხოლოდ ერთ უბანში 500 ბიულეტენი გამიყალბეს.

**— თუმცა თქვენი სარჩელი სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია...**

— დიახ, ამიტომ გადავწყვიტე, სტრასბურგის გზას დავადგე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება მსგავს ქმედებებს მომავალშიც გააგრძელებს. ივანიშვილსა და სააკაშვილს კადრებიც კი ერთი ჰყავთ — ახალი მთავარი პროკურორის ბიოგრაფიას გადავხედე, სადაც ჩანს, რომ ნაციონალური მოძრაობის პერიოდში გამოზრდილი კადრია. ისინი ერთი მთლიანის ორ სხვადასხვა ნაწილს წარმოადგენენ.

**— ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის მძიმე ბრალდებების წარდგენასა და პარლამენტში ფიზიკურ დაპირისპირებას საერთო თამაშის ნაწილად მიიჩნევთ?**

— რეალურად, პარლამენტში ოპოზიცია არ არსებობს და ერთმანეთს მხოლოდ იმას ედავებიან, ქვეყნის სულიერი და მატერიალური სიმდიდრიდან ვინ უფრო მეტი უნდა შეჭამოს. გარკვეული დაპირისპირება დედმამიშვილებს შორისაც არსებობს, ერთს რომ მოეფერები, მეორე იბოღმება, „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონაულმა მოძრაობამ სწორედ ასეთი ოჯახური იდილია მოიწყვეს.

**— სად არის ამ დროს არასაპარლამენტო ოპოზიცია, მათ შორის, თქვენი პარტია და ხელისუფლებას ძლიერ ოპონირებას რატომ ვერ უწევთ?**

— ეს იმის ბრალია, რომ ხელისუფლება არასაპარლამენტო ოპოზიციის განადგურებას მიზანმიმართულად ცდილობს და ოპონენტად მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა სურს, რადგან იცის, დამნაშავე ძალას ხალხი აღარასოდეს აირჩევს და მასთან ოპონირება მარტივია. მსგავსი რეპრესიები ოპოზიციურ პარტიებზე ბოლშევიზმისა და ფაშიზმის დროსაც კი არ ყოფილა. ოპონირება როგორ გავუწიოთ იმ ფონზე, როცა ფსიქოლოგიური მანქანა მთელი სიმძლავრით მუშაობს და საზოგადოების ცნობიერებაში მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალის დაფიქსირებას ცდილობს — არ გინდა მეორე, აირჩიე პირველი და პირიქით. ასე ხდებოდა შევარდნაძისა და აბაშიძის დროსაც, როცა მხოლოდ ორი არჩევანი გქონდა, თუ მოქალაქეთა კავშირს მტრობდი, „აღორძინება“ უნდა აგერჩია. ამიტომაც ვამბობ, თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნა, მილიარდიანი საბიუჯეტო გარღვევა მოგვენატრება, რადგან გაისად სახელმწიფო აღარ შეგვრჩება. ნაციონალები კი გაიხარებენ.

**— იზიარებთ მოსაზრებას, რომ ნაციონალური მოძრაობა მალე ხელისუფლებაში დაბრუნდება?**

— თუ ბიძინა ივანიშვილის ბრძანებით ნაციონალური მოძრაობის მთავარ ოპოზიციურ ძალად დაფიქსირება მომავალშიც გაგრძელდა, არასაპარლამენტო პარტიების რეპრესიები გაგრძელდა და თუ ბიზნესმა არ დაგვაფინანსა, სააკაშვილისა და „ოცნების“ მაფია ხელისუფლებაში 30 წლის განმავლობაში იტრიალებს. პირველ რიგში, ერმა ფულის მაძიებლისა და ვერცხლის მოყვარულობის საშინელი სენი უნდა მოიშოროს. სანამ გვეგონება, რადგანაც ივანიშვილს, ბურჭულაძეს, წვერებიან თაღლით ლევან ვასაძესა და სხვა პირებს ფული აქვთ, არჩევნებში ხმა უნდა მივცეთ, თანაც დარწმუნებულნი ვიქნებით, რომ მათი ფინანსები ჩვენი შვილების საკუთრება იქნება, საზოგადოებად ვერ ჩამოვყალიბდებით და ცხვრის ფარად დავრჩებით. იმის ნაცვლად, ივანიშვილს კიდევ ერთი პირობა შეესრულებინა და ქვეყნის განვითარებაში თავისი კაპიტალის 90% ჩაედო, ბეჟუაშვილსა და ებრაელ ბიზნესმენებთან ერთად, საქართველოში ჰესების მშენებლობაში მილიარდიანი ინვესტიცია განახორციელა. ასე რომ, ვიდრე ივანიშვილის მილიარდებს აღფრთოვანებულები შევნატრით, ის ვანილიანი შოკოლადის აბაზანას აბაზანაზე იღებს.

## ვერსიანიუსი

### სოჭის ოლიმპიადის გახსნას 60 სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური დაესწრება



როგორც რუსული მედია იუწყება, ამის შესახებ ჟურნალისტებს რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ, იური უშაკოვმა განუცხადა. მისივე თქმით, ბევრ მათგანთან რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მოლაპარაკებებსაც გამართავს.

იური უშაკოვის ინფორმაციით, 60 ლიდერს შორისაა ასევე სამი-ოთხი საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელი, გაერო-ს ჩათვლით. **„ეს ციფრი ხშირად იცვლება. საბოლოოდ, ოლიმპიადის გახსნაზე იქნება ძალიან სოლიდური უცხოური დელეგაცია“,** — აღნიშნა პუტინის თანაშემწემ.

სოჭში ზამთრის 22-ე ოლიმპიადა 7 თებერვალს გაიხსნება და 23 თებერვლამდე გასტანს.

*„ინტერპრესნიუსი“*

### ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე თურქეთის მოქალაქე დააკავეს




საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე, თურქეთის მოქალაქე მუსტაფა თურანი დააკავეს. საგამოძიებო სამსახურის ცნობით, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა, 3 000 თურქული ლირის ყალბი კუპიურები, 1000 ლარის სანაცვლოდ გაასაღა. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ აღნიშნული პირის ორგანიზებით, საქართველოში თურქული ლირის ყალბი კუპიურების გასაღება წარსულშიც ხორციელდებოდა. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

***bpn.ge***



## „უდოს“ კომისია ახლებურად დაკომპლექტდება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია (ე.წ. უდო) ახლებურად დაკომპლექტდება. მუდმივმოქმედ კომისიაში სამინისტროს სამი თანამშრომლის ნაცვლად, ორი თანამშრომელი ეყოლება. ამის ხარჯზე კი, კომისიის შემადგენლობას საგანმანათლებლო დაწესებულების ერთი წარმომადგენელი დაემატება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია შვიდი წევრისგან შედგება. დღეს არსებული წესის თანახმად, მის შემადგენლობაში შედის როტაციის წესით – საპარლამენტო უმრავლესობის, უმცირესობის, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების თითო-თითო წარმომადგენელი. კომისიაში თავად სამინისტროს სისტემიდან სამი თანამშრომელი შედის.

*„ინტერპრესნიუსი“*

## მოსკოვში ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი გიორგი გიორგაძე დააკავეს

მოსკოვში, ავტოგამტაცებლების წინააღმდეგ განხორციელებული დევნის შედეგად, რუსმა სამართალდამცველებმა ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი გიორგი გიორგაძე, მეტსახელად „კია“ დააკავეს.

რუსული მედიის ცნობით, გატაცებულ ავტომობილში გიორგაძესთან ერთად, დიმიტრი ბერიძეც იმყოფებოდა. ორივე მათგანი სოხუმის მკვიდრია.

მოსკოვის შს მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, დამნაშავე გატაცებული ავტომანქანით საპირისპირო ხაზზე მოძრაობდა. პოლიციის გამოჩენისთანავე ის სხვა ავტომობილში გადაჯდა და მიმალვას შეეცადა.

დაკავებული გიორგი გიორგაძე პერმიდან 2013 წელს საქართველოშია დეპორტირებული, რომელსაც რუსეთში შესვლა 2019 წლამდე აკრძალული ჰქონდა.

*„ინტერპრესნიუსი“*



## კიევში რუსეთის სპეცრაზმი ჩაჰყავთ, რომის პაპი კი უკრაინელებისთვის ლოცულობს

ფრაქცია „ბატკივშჩინას“ წევრის, უკრაინის რადას დეპუტატის, ანდრეი პარუბის ინფორმაციით, კიევში, შესაძლოა, რუსეთის სპეცრაზმი ჩავიდეს. როგორც ანდრეი პარუბმა, რომელიც ამავდროულად, ევრომაიდნის კომენდანტია, ჟურნალისტებს განუცხადა, ოპოზიციამ მიიღო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, „ბორისპოლისა“ და „ჟულიანის“ აეროპორტებში აპირებენ გადმოსხან რუსეთის სპეცრაზმი.

**„ისინი სამოქალაქო ფორმაში იქნებიან. კიევში მათ „ბერკუტის“ ფორმას გადააცმევენ და მაიდანზე გადმოისვრიან“,** — აღნიშნა პარუბიმ.

ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ რომის პაპი უკრაინელებს ძალადობის შეწყვეტისკენ მოუწოდებს.

**„უკრაინის გვერდით ვარ, როდესაც ვლოცულობ ამ ქვეყნისთვის, მათთვის, ვინც დაიღუპა ბოლო დღეების განმავლობაში და მათი ოჯახებისთვის. ვიმედოვნებ, ხელისუფლება და სამოქალაქო საზოგადოება შეძლებენ კონსტრუქციული დიალოგის გამართვას, რომ ძალადობა დასრულდება და უკრაინელთა გულებს მშვიდობა და უკეთესისკენ ლტოლვა დაიკავებს“,** — აცხადებს რომის პაპი ფრანცისკი.

*„ინტერპრესნიუსი“*

# რატომ არ შეიძლება უკრაინის მოვლენების სისხლიან 7 ნოემბერსა და 26 მაისთან შედარება



## ოლეგ პანფილოვი: „თუ, ღმერთმა არ ქნას, რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია გააგრძელა, ხელისუფლებაში „ოცნება“ კი არა, გიორგაძე, ხუბუტია და აბაშიძე იქნებიან!“

რუსუდან შელია
557-100-768

**კიევში, ევრომაიდანზე საპროტესტო აქციები გრძელდება, უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლას უშედეგოდ ცდილობს: ოპოზიციის ლიდერმა, არსენ იაცენიუკმა პრეზიდენტის შეთავაზება, პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშვნასთან დაკავშირებით, არ მიიღო, ვიცე-პრემიერობაზე უარი ვიტალი კლიჩკომაც განაცხადა და ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მზადყოფნა მხოლოდ ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ გამოთქვა. უკრაინული ოპოზიციის მოთხოვნები კი ასეთია: თანამებრძოლების გათავისუფლება და მათ წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართლის საქმეების დახურვა; კანონი ამნისტიის შესახებ; იმ კანონების შეცლა, რომლებიც უკრაინელებს თავისუფლად საუბარს, ცხოვრებას უკრძალავს და თავისუფლების შეგრძნებასართმევს; ახალი უკრაინული ხელისუფლება და ახალი კონსტიტუცია. პირობების შესასრულებლად ოპოზიციამ საბოლოო ვადად 28 იანვარი გამოაცხადა. უკრაინაში მიმდინარე პროცესებსა და საქართველოში რუსეთისგან მომავალ საფრთხეებზე „ვერსიას“ ჟურნალისტი ოლეგ პანფილოვი ესაუბრა.**

— თუ მაიდანზე მიმდინარე პროცესებს პათეტიკურად შევაფასებთ, დღეს უკრაინა საბჭოთა კავშირისგან თავისდასაღწევად იბრძვის. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირი 22 წლის წინ არ მომკვდარა, ჯერ კიდევ ცოცხლობს, განსაკუთრებით კი, პუტინის ოცნებებში... საქართველოსგან განსხვავებით, უკრაინაზე რუსეთის გავლენა ბევრად დიდია, ამიტომ ვითარების შესაცვლელად უკრაინელები იძულებულნი არიან, რევოლუციის გზას დაადგნენ. ისიც ფაქტია, რომ უკრაინის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში ჯერ კიდევ საბჭოთა აზროვნებით ცხოვრობენ, თუმცა, საბედნიეროდ, არსებობს ახალგაზრდა თაობა, რომელსაც იმპერიის შემადგენლობაში შესვლის სურვილი ნამდვილად არ აქვს.

— **ევრომაიდანზე დაპირისპირების ფონზე, არსებობს ყირიმის ფაქტორი და რისკი, რომ პრორუსულად მოაზროვნე ადგილობრივი მოსახლეობა უკრაინას გამოეყოს...**

— ყირიმის უკრაინისგან გამოყოფასთან დაკავშირებით, ცრუ ინფორმაცია გავრცელდა, თუმცა, შესაძლოა, მოვლენები ამ სცენარითაც განვითარდეს. პირადად მე, იმ ახალგაზრდების იმედი მაქვს, რომლებიც საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ წამოვიდნენ, თან, საბედნიეროდ, ყირიმში, ოდესაში, დონეცკსა და ხარკოვში, მცირე რაოდენობით, მაგრამ ევრომაიდნის მხარდამჭერ აქციაზე ადამიანები მაინც გამოვიდნენ.

— **ანუ გაქვთ მოლოდინი, რომ უკრაინა, რომელიც რუსეთზე ეკონომიკურადაა დამოკიდებული, იმპერიისგან გათავისუფლებას შეძლებს და პროცესები იანუკოვიჩის გადადგომით დასრულდება?**

— დიახ, უკრაინა რუსეთისგან თავისდაღწევას მოახერხებს და, როცა რევოლუცია გაიმარჯვებს, ქვეყანა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასაც ხელს მოაწერს.

**აზბოქრებულ უკრაინელებს ვერავინ შეაჩერებს — ამ ერს ბევრის მოთმენა შეუძლია, მაგრამ, როცა ბრძოლას იწყებს, მიზანს აუცილებლად აღწევს.**

— **შეიძლება, მაგრამ იანუკოვიჩი, ჯერჯერობით, ფარხმალს არც ყრის და ოპოზიციის შეჩერებას სხვადასხვა მეთოდით ცდილობს...**

— რეალურად, იანუკოვიჩს შსს-ს 8 000 თანამშრომელიღა დარჩა, რადგან არმიამ ხალხის წინააღმდეგ ხელის აღმართვაზე უარი განაცხადა.

იანუკოვიჩს უამრავი სხვა შიდაპრობლემაც დაუგროვდა: ეკონომიკის განვითარება ვერ მოახერხა, უკრაინაში კორუფცია ჰყვავის, ბიზნესსექტორი ვერ გაძლიერდა, ქვეყანას 100 მილიარდზე მეტი საგარეო ვალი აქვს, დაბალი პენსია და ხელფასი ხალხის უკმაყოფილებას იწვევს... ასე რომ, ისინიც კი, ვინც აღმოსავლეთ უკრაინაში ცხოვრობს, მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, იანუკოვიჩის მმართველობის წინააღმდეგნი არიან. ვფიქრობ, რევოლუცია არ ჩავარდება და იანუკოვიჩი ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს დანიშნავს ან, შესაძლოა, რევოლუციის პროცესი გაიწელოს და ვითარება 2015 წლის არჩევნებზე შეიცვალოს, თუმცა ის, რომ უკრაინელი ხალხის ნებას ვერაფერი შეაჩერებს, ფაქტია!

— **ფიქრობთ, რუსეთი უკრაინაზე გავლენის დაკარგვას შეეგუება ან ევრომაიდნის მოვლენების ფონზე, საქართველოში რას უნდა ველოდეთ?**

— საქართველოს ამერიკელები იცავენ — არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართულმა მხარემ ვაშინგტონთან საკმაოდ მნიშვნელოვან დოკუმენტებს მოაწერა ხელი, თან მოქალაქეთა უმრავლესობას ევროპული კურსი აქვს არჩეული, ამიტომ, არ მგონია, ქართველებს რუსეთის იმპერიაში დაბრუნება მოუნდეთ.

რაც შეეხება უკრაინას, პუტინმა უკრაინის პროცესებში მთავარი როლი შეასრულა. მან ხელისუფლებაში მოსვლისთანავე განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის აღდგენის სურვილი ჰქონდა, რომლის განხორციელებაც 2007 წლის ოქტომბერში დაიწყო. მიზნის მიღწევაში ხელს სამი ქვეყანა უშლის: საქართველო, უკრაინა და მოლდოვა, მეტ-ნაკლებად, აზერბაიჯანიც, მაგრამ ამ მიმართულებით ზეწოლას ვერ ბედავს, რადგან ის ევროპასთან ენერგორესურსებით მყარადაა დაკავშირებული.

*დასასრული მე-5 გვერდზე*

*მე-4 გვერდიდან*

2008 წლის აგვისტოს ომი საბჭოთა კავშირის აღდგენის მიზნით დაიწყო, ამიტომ საუბარი, თითქოს, ეს პროცესი სააკაშვილის ინტერესებში შედიოდა, სისულელეა. ვიმეორებ, ეს იყო გეოპოლიტიკური ომი, რომლის რუსეთისთვის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის აღდგენა გარდაუვალი იქნებოდა. საქართველოს დაპყრობის შემთხვევაში, პუტინისთვის აზერბაიჯანის პრობლემაც ავტომატურად მოგვარდებოდა, რადგან მეზობელ ქვეყანას გაზი და ნავთობი ევროპაში საქართველოს ტერიტორიის გავლით გააქვს. ვითარებაში აშშ-ს ჩარევის შემდეგ, რუსეთმა მიზნის განხორციელება ველარ მოახერხა, თუმცა არ დანებდა — საქართველოში ვითარების შესაცვლელად, ოპოზიციის დაფინანსება განაგრძო. პუტინის ბოლო მცდელობა 2011 წლის 26 მაისი იყო, თუმცა მაშინაც არაფერი გამოუვიდა, ამიტომ გადაწყვიტა, ჯერ უკრაინით დაკავებულიყო.

**— მიგაჩნიათ, რომ ნაციონალურ მოძრაობას, რომლის კისერზეც 26 მაისისა და 7 ნოემბრის მოვლენებია, უკრაინაში დემონსტრანტების მხარდაჭერის მორალური უფლება აქვს?**

— 2011 წლის 26 მაისი და უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ერთმანეთს არ უნდა შევადაროთ. ნინო ბურჯანაძე პრორუსული ძალაა, რომელიც მაშინ საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ წავიდა. ბუნებრივია, ხალხის ცემა ცუდია, მაგრამ არც დანაშაულია გამართლებული. უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ევრომაიდნის მარცხი საქართველოსთვის დასასრული იქნება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მოვლენები სხვაგვარად განვითარდება. როგორც კი უკრაინაში ხელისუფლება შეიცვლება, რუსეთის დაშლის პროცესიც დაიწყება, რაც გარდაუვალია, რადგან რუსეთი ხელოვნური სახელმწიფოა. მასში 144 ქვეყანა ერთიანდება, რომლებსაც ერთმანეთთან არც კულტურა, არც რელიგია და არც ბუნება აკავშირებს. მაგალითად, რა საერთო აქვს ჩუქჩასა და ჩეჩენს? რუსეთი მხოლოდ სხვა სახელმწიფოების ოკუპაციის შედეგად შეიქმნა, ამიტომ მას მხოლოდ ერთ შემთხვევაში აქვს მომავალი — თუ რუსეთს ოდესმე ეღირსება კარგი პრეზიდენტი, რომელიც იტყვის, რომ ქვეყანა მხოლოდ დანარჩენი ერების თავისუფლების პატივისცემის შემთხვევაში განვითარდება. აშშ-ც ხელოვნური სახელმწიფოა, მაგრამ იქ მთავარ ლოზუნგს სწორედ თავისუფლება წარმოადგენს. სხვათა შორის, საქართველოს ჰიმნში სიტყვა „თავისუფლება“ სამჯერ მეორდება, რუსეთის ჰიმნში კი — არც ერთხელ. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს მენტალობაზე.

**— საქართველოს ხელისუფლება, რუსეთთან მიმართებაში მიხეილ სააკაშვილის წარუმატებელი რიტორიკის შემდეგ, შერბილებულ პოლიტიკას ირჩევს და სოჭის ოლიმპიადაზე გამგზავრებაზეც თანახმაა, თუმცა ფაქტია — ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობისას არც ეს მეთოდი ამართლებს. რუსეთსა და საქართველოს, როგორც თანასწორ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ნორმალიზება რეალურია?**

— რუსეთსა და საქართველოს შორის დაახლოებაზე საუბარი სრული სისულელეა. როგორც ჩანს, ხელისუფლებას ცუდად ესმის, რომ რუსეთი იმპერიაა, რომელთან მეგობრობაც შეუძლებელია. მას ერთადერთი მიზანი აქვს — სხვისი ტერიტორიების დაპყრობა. როგორ უნდა ვიმეგობროთ დამპყრობელ ქვეყანასთან — რუსეთში გაგზავნილი ქართული ღვინით? სხვათა შორის, რუსეთში ფალსიფიცირებული ქართული ღვინო გამოჩნდა. კვირაში ერთხელ რუსული მაღაზიების ფოტოებს მიგზავნიან, სადაც გამოფენილი ღვინოების ეტიკეტები ცხოვრებაში არ მინახავს. ასე რომ, ამ მხრივ პლუსი არ არსებობს. საქართველოსთვის ღვინო მთავარი საექსპორტო პროდუქტი არაა და ბიუჯეტის მხოლოდ 8%-ს შეადგენს. იმპორტთან დაკავშირებით, რუსეთის პოლიტიკასაც შეგახსენებთ — როგორც კი კრემლსა და სხვა სახელმწიფოს შორის პოლიტიკური ვითარება იძაბება, რუსეთის ბაზარზე მაშინვე იკრძალება ბელორუსის არაჟანი, უკრაინული ხორცი, პოლონური ბოსტნეული და ა.შ. სად არის გარანტია, რომ ერთ კვირაში ან, თუნდაც, ერთ თვეში, რუსეთს რაღაც არ მოეწონება და მის ტერიტორიაზე, ხელის ერთი მოსმით, ქართულ პროდუქციას არ აკრძალავს?!

რაც შეეხება სოჭის ოლიმპიადას, ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურად დიდი შეცდომაა. ჯერ ერთი, სოჭი ქართველებისთვის ჩვეულებრივი ქალაქი არ არის და მას ქართული სახელწოდება აქვს, თუმცა დღეს ოკუპანტი რუსეთის შემადგენლობაშია. მეორეც: სოჭში ჩერქეზთა გენოციდი განხორციელდა.



**— თუ არა ეკონომიკური ურთიერთობა და ე.წ. სახალხო დიპლომატია, ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების შანსს რა გვაძლევს?**

— რუსეთში ხელისუფლების ცვლილება! აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოა, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთის გარეშე ეს საკითხი ვერ გადაწყდება, რადგან ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. საზღვრებთან რუსი სამხედროები დგანან და იქ რუსული ფული ბლომად იხარჯება. სხვათა შორის, ჩემთვის გაუგებარია, ამ ხნის განმავლობაში რატომ დუმდა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით „ქართული ოცნება“... როგორც ჩანს, არ ესმის, რომ თუ, ღმერთმა არ ქნას, რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია გააგრძელა, ხელისუფლებაში „ოცნება“ კი არა, გიორგაძე, ხუბუტია და აბაშიძე იქნებიან. რუსეთს კოალიციის წარმომადგენლები არაფერში სჭირდება, რადგან იქ გაუნათლებელი ადამიანები არიან.

**— ნაციონალები დღემდე აპელირებენ — „ქართული ოცნება“ რუსული პროექტიაო.**

— რა თქმა უნდა, პარლამენტში პრორუსული ძალები არიან, მაგრამ მათი რიცხვი არცთუ დიდია. უბრალოდ, კოალიცია ხელოვნურად შეკრიბეს და როგორც ზოოპარკში, აბსოლუტურად განსხვავებული იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის ადამიანები გააერთიანეს. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლება პრორუსულია, ეს ადამიანები მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ იბრძოდნენ, ამიტომ კოალიციას, „ქართული ოცნების“ ნაცვლად, „ქართულ შურისძიებას“ ვუწოდებდი. ისიც უნდა ვთქვა, რომ 2008 წელს რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ მაშინდელი ოპოზიციაც იბრძოდა.

**— რაც შეეხება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. როგორ აფასებთ „ქართული ოცნების“ ერთწლიან მმართველობასა და ბიძინა ივანიშვილის სამოქალაქო სექტორში გადანაცვლებას?**

— ბიძინა ივანიშვილის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა სასაცილოა, რადგან ამ ადამიანს სამოქალაქო სექტორის არაფერი გაეგება, პოლიტილოგია და დემოკრატიის საფუძვლებიც კი არ უსწავლია. ადამიანს, რომელიც საკუთარ წარსულს მალავს, პატიოსნებაზე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს.

**— პოლიტიკიდან წასვლამდე ივანიშვილმა სწორედ პატიოსანი სიტყვა და საკუთარი წარსული დაგვიტოვა იმის გარანტად, რომ ხელისუფლება კორუმპირებული არ იქნება და ქვეყნის განვითარებაზე იზრუნებს. მის წარსულზე თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

— პირველ რიგში, ის, რომ ბიძინა ივანიშვილი, ერთდროულად, ორ ქალზე იყო დაქორწინებული. ამასთან, მუდმივად მალავს რეალურ ქონებას, რადგან მას ბევრად მეტი აქვს, ვიდრე ოფიციალურადაა დეკლარირებული. მის ბიოგრაფიაში ნათქვამია, რომ დოქტორია, თუმცა ერთი წელია, მისი დისერტაციის პოვნას ვცდილობ, მაგრამ უშედეგოდ — მსგავსი რამ ბუნებაში არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი უარყოფს, მაქვს დოკუმენტები, როგორ აფინანსებდა ალექსანდრე ლებედის წინასაარჩევნო კამპანიას. ლებედის საარჩევნო შტაბი „როსისკი კრედიტის“ ბანკში იყო განთავსებული, რომელიც ივანიშვილის საკუთრება გახლდათ. ასე რომ, ბიძინა ივანიშვილი აფერისტია!

მისი მიზანი მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ პიროვნული შურისძიება იყო. გვერდით შემოიკრიბა ის ადამიანები, რომლებიც რეფორმების შემდეგ სააკაშვილმა თანამდებობებიდან გაათავისუფლა და ისინი ხელისუფლებაში მოსვლას დამოუკიდებლად ვერასოდეს შეძლებდნენ.

**— სააკაშვილის მმართველობის დროს, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს ატერორებდნენ და უმრავლესობა ქვეყნიდან გარბოდა..**

— სააკაშვილის დამსახურებაა, რომ საქართველო რუსეთისგან ეკონომიკურად დამოუკიდებელია. როგორ ახორციელებს რუსეთი თანამედროვე ოკუპაციას? — ბიზნესს ყიდულობს. ასე მოხდა ბელორუსში, სადაც რუსეთის გაზის გარეშე ცხოვრება აღარ შეუძლიათ და იგივე განმეორდა უკრაინაშიც. მიუხედავად ამისა, სააკაშვილმა სერიოზული შეცდომებიც დაუშვა. პირადად მე, მისთვის არაერთხელ მითქვამს, რომ ინფორმაციულ პოლიტიკას არასწორად წარმართავდა. მოსახლეობისთვის უნდა აეხსნათ, რატომ შენდებოდა ბათუმი, ძვირადღირებული სასტუმროები და ა.შ. ოღონდ ამის შესახებ სააკაშვილს კი არა, ექსპერტებსა და სპეციალისტებს უნდა ესაუბრათ. ისიც ცუდი იყო, რომ პარლამენტში ნაციონალური მოძრაობა 80%-ით იყო წარმოდგენილი — უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში პარტიების დაბალანსება უნდა მომხდარიყო. რაც შეეხება ოპოზიციას, მათი ლიდერები ძალიან სულელები იყვნენ და საზოგადოებას არაფერს სთავაზობდნენ. გაიხსენეთ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები: მაშინ ჯერ კიდევ მოსკოვში ვცხოვრობდი და სპეციალურად ჩამოვედი, რათა პრეზიდენტობის კანდიდატების პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა გამეცნო, მაგრამ მსგავსი რამ, უბრალოდ, არ არსებობდა. არც ჩრდილოვანი კაბინეტის შესახებ იცოდა ვინმემ... სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკური ცხოვრება ძალიან სუსტია, ამიტომ წლების განმავლობაში ნაციონალური მოძრაობა ერთადერთი პარტია იყო, რომელსაც სამოქმედო გეგმა ჰქონდა და გუნდში საკმაოდ განათლებული პოლიტიკოსებიც ჰყავდა. ეს იყო არჩევნებში ოპოზიციის მარცხის ძირითადი მიზეზი, ამიტომ აბსოლუტურად ნორმალურ პროცესად მიმაჩნია საქართველოში არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა. მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ოცნებაში“ ბევრი არაპროფესიონალი და ცუდი კადრია, პოლიტიკური ელიტის ცვლილება დემოკრატიის განვითარების გზაზე აუცილებელია. სხვათა შორის, საარჩევნო პროგრამა კოალიციასაც არ ჰქონდა, ისიც კატასტროფა იყო, რომ არჩევნების შემდეგ, სამი კვირის განმავლობაში, კადრებს ეძებდნენ. ეს მათ სისუსტეზე მიანიშნებს. ვფიქრობ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში „ოცნება“ წააგებს.

**— და მას ისევ ნაციონალურ მოძრაობა ჩაანაცვლებს?**

— სამწუხაროდ, სხვა პოლიტიკური ძალის გამოჩენის პერსპექტივას ვერ ვხედავ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში 300 პოლიტიკური პარტიაა რეგისტრირებული, საქართველო პატარა სახელმწიფოა და კადრების დეფიციტიც მწარე რეალობაა. თუ „ქართულმა ოცნებამ“ ეკონომიკის დანგრევა ამ ტემპით გააგრძელა, ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში აუცილებლად დაბრუნდება. მანამდე ხალხიც მიხვდება, რომ რამდენიმე წლის წინ ბიძინა ივანიშვილმა და მისმა გუნდმა მწარედ მოატყუა, თან ქართველების მენტალიტეტიც უნდა გავითვალისწინოთ — საქართველოში პოლიტიკურ გემოვნებას არა პოლიტიკოსები, არამედ ეკონომიკური მდგომარეობა ცვლის. იმ ფონზე, როცა საწვავზე ფასი არ შემცირებულა, 200 ქარხანა არ აშენებულა და არც ტარიფების განახევრება იფიქრა ვინმემ, „ქართული ოცნების“ დასასრული მალე დადგება.



## „ბიუჯეტითა და სახსრებით სპეკულაცია უადგილოა“

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური თბილისის მერიას, ბიუჯეტთან დაკავშირებით, დედაქალაქის საკრებულოსთან კონსენსუსის მიღწევისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ თბილისის ბიუჯეტს ამტკიცებს თბილისის საკრებულო: **„უმცირესობამ უნდა იცოდეს, რომ თბილისის ბიუჯეტს არ ამტკიცებს არც საქართველოს მთავრობა და არც საქართველოს პარლამენტი, თბილისის ბიუჯეტს ამტკიცებს თბილისის საკრებულო. მერიამ საკრებულოსთან უნდა იმუშაოს, რათა მიაღწიონ კონსენსუსს და დედაქალაქს ჰქონდეს ბიუჯეტი. მინდა ვთქვა, რომ ამ წუთებისთვისაც თბილისის ბიუჯეტში არის სახსრები, მათ შორის სახსრები, რომლებიც უნდა მიიღონ ცენტრალური ბიუჯეტიდან. ერთსაც გეტყვით, შარშან, გვქონდა პრობლემები ბიუჯეტის შესრულებაში და ერთი თეთრიც არ დაკლებია, ასე რომ, ეს სპეკულაციები ბიუჯეტით და სახსრებით უადგილოა“.**

***„ინტერპრესნიუსი“***




## „ადამიანური კაპიტალის“ განვითარების მიხედვით, საქართველო ყველა მეზობელს ჩამორჩება

„ადამიანური კაპიტალის“ განვითარების მიხედვით, საქართველომ 2013 წელს მსოფლიოს 122 ქვეყანას შორის 77-ე ადგილი დაიკავა და „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის“ მოხსენებაში 0.258 ქულა დააგროვა (მაქსიმალური ქულაა 1.455, მინიმალური — 1.153). აღსანიშნავია, რომ პირველ ადგილზე მსოფლიოში შვეიცარიაა. რაც შეეხება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, ამ მხრივ, ესტონეთი ლიდერობს (27-ე ადგილი). მას მოსდევს ლიტვა (34-ე), ლატვია (38-ე) ყაზახეთი (45-ე) რუსეთი (51-ე), უკრაინა (63-ე), აზერბაიჯანი (64-ე), სომხეთი (73-ე). საქართველოზე ცუდი მაჩვენებლები მხოლოდ მოლდოვასა (83-ე) და ყირგიზეთს (92-ე) აქვთ. მეზობელი თურქეთი სიაში 60-ე ადგილს იკავებს.

ადამიანური კაპიტალი უცხოელმა ექსპერტებმა ოთხი ძირითადი მახასიათებლის მიხედვით შეაფასეს, მათ შორის, განათლებით, რომლითაც საქართველომ 74-ე ადგილი დაიკავა, ჯანმრთელობის დაცვითა და კეთილდღეობით (66-ე ადგილი), სამუშაოსა და დასაქმებით (102-ე ადგილი), ასევე ხელსაყრელი გარემოთი (76-ე ადგილი).

აღსანიშნავია, რომ განათლების განყოფილებაში სწავლების ხელმისაწვდომობის კუთხით (განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე) საქართველოს საუკეთესო მაჩვენებლები აქვს (34-ე ადგილი), თუმცა ხარისხი საკმაოდ სუსტია (90-ე ადგილი). განსაკუთრებით მათემატიკისა და მეცნიერების მიმართულებით (89-ე ადგილი) და მენეჯმენტის სკოლებში (94-ე ადგილი).

ჯანდაცვის ხარისხისა და მისაწვდომობის კუთხით საქართველო, ასევე, ერთ-ერთ არასასურველ პოზიციას იკავებს (87-ე ადგილი). აღსანიშნავია, რომ ამ პარაგრაფში შეტანილია ადამიანების რაოდენობაც, რომლებიც დეპრესიით იტანჯებიან. გამოკითხულთა 15%-ს საქართველოში დეპრესია აქვს (მაქსიმალური რიცხვი მსოფლიოში 37%-ია) და, შესაბამისად, 85-ე ადგილი დაიკავა.

რაც შეეხება შრომას, უმუშევრობის დონით ჩვენს ქვეყანას 97-ე ადგილი უკავია. განსაკუთრებით, მაღალია ეს მაჩვენებელი ახალგაზრდა თაობაში (99-ე ადგილი).

უარყოფითი მაჩვენებლები აქვს საქართველოს ტალანტის აღმოჩენის (84-ე ადგილი) და შენარჩუნების (78-ე ადგილი) მიმართულებითაც. რაც შეეხება ნიჭიერი თანამშრომლის მოძიებას, ამ მხრივ, 109-ე ადგილს იკავებს. ინოვაციების ნიჭში 104-ე ადგილით შემოიფარგლა. კიდევ უფრო დაბალ დონეზეა (114-ე ადგილი) ტრეინინგსერვისები, ამავე ადგილს იკავებს საქართველო უნივერსიტეტებსა და ბიზნესს შორის კვლევისა და განვითარების თანამშრომლობის მიხედვით.

უცხოელმა ექსპერტებმა გამოიკვლიეს, რამდენად ხელმისაწვდომია თანამედროვე ტექნოლოგიები და კომუნიკაციის საშუალებები მოსახლეობისთვის. მობილური ტელეფონების რაოდენობის მიხედვით, საქართველომ 74- ე ადგილი დაიკავა, ხოლო ინტერნეტის მომხმარებლების მიხედვით — 69-ე, რაც შეეხება შიდატრანსპორტის ხარისხს, ამ მხრივ საქართველოს კარგი მაჩვენებელი აქვს (47-ე ადგილი).

სამაგიეროდ, ქვეყანას ნეგატიური მაჩვენებელი აქვს სოციალური (111-ე ადგილი) და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით (105-ე). ერის ინტელექტუალური კოეფიციენტი უცხოელმა ექსპერტებმა 86,5 ქულით შეაფასეს, რაც საშუალო მაჩვენებელია.

***bpn.ge***

# ფინანსური ბერკეტი, რომელსაც კრემლი საქართველოს წინააღმდეგ აამუშავებს!




## „ვნეშტორგბანკისა“ და კგბ-ს საიდუმლო კავშირები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე ვარაუდობს, რომ პუტინს საქართველოს წინააღმდეგ რუსული „ვნეშტორგბანკის“ ფილიალის, ვითიბი ბანკ ჯორჯიას სახით, სერიოზული ეკონომიკური ბერკეტი აქვს: „კრემლს, სურვილისა და შესაბამისი დავალების შემთხვევაში, შეუძლია, საქართველოს ფინანსურ სისტემას მნიშვნელოვანი რყევები მიაყენოს — მაგალითად, ვითიბი ბანკ ჯორჯიაში, რამდენჯერმე დიდ ფულად ტრანზაქციას განახორციელებს, რაც საქართველოში ჰიპერინფლაციას გამოიწვევს. ეს ჩემი მოსაზრებაა და რადგან ეკონომიკა და ბიზნესი ჩემი პროფილი არ არის, ეკონომისტებისა და ფინანსისტებისგან მაინტერესებს, რამდენად რეალურია ეს საფრთხე“, — განუცხადა „ვერსიას“ ხათუნა ლაგაზიძემ.**

**სხვათა შორის, რუსული „ვნეშტორგბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და მმართველი მენეჯმენტის წევრთა უმრავლესობა, საბჭოთა კავშირის დროს, მაღალი თანამდებობის პირი ან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელია. თავად განსაჯეთ, ჰქონდა თუ არა მაშინდელ კგბ-სთან აქტიური თანამშრომლობა. „ვერსია“ რამდენიმე მათგანის დოსიეს გთავაზობთ, რომელიც ამავე ბანკის რუსული საიტიდან ამოვიღეთ:**

„ვნეშტორგბანკის“ პრეზიდენტი **ანდრეი კოსტინია**, რომელიც აქციების 0.00183%-ს ფლობს. მან 1979 წელს დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი საერთაშორისო ეკონომიკური სპეციალობით. 1979 წლიდან საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, 1979-1992 წლებში საბჭოთა კავშირის კონსული იყო ჯერ ავსტრალიაში, შემდეგ დიდ ბრიტანეთში. ანდრეი კოსტინი „ედინაია როსიას“ უმაღლესი საბჭოს წევრია, „ვნეშტორგბანკის“ პრეზიდენტობის გარდა, „როსნეფტის“ გენერალური დირექტორის მოადგილეცაა.

**ვასილი ტიტოვი** „ვნეშტორგბანკის“ პრეზიდენტის პირველი მოადგილეა, რომელიც აქციების 0.00112%-ს ფლობს. 1983 წელს ჟდანოვის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. 1983-1988 წლებში მუშაობდა გამომცემლობა „მეცნიერების“ ლენინგრადის განყოფილებაში. სხვადასხვა წლებში, მუშაობდა საინფორმაციო სააგენტო „იტარ-ტასის“ საპარლამენტო მიმომხილველად, რედაქტორად. ასევე მუშაობდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

**მატიას ვარნიგი** „ვნეშტორგბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია, აქციებს არ ფლობს, დაიბადა აღმოსავლეთ გერმანიაში. 1981 წელს ბერლინის უმაღლესი ეკონომიკური სკოლა დაამთავრა. 1981-1990 წლებში მუშაობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (გდრ) ვაჭრობის სამინისტროში, 1989 წლიდან სამხედრო სამსახური მაიორის წოდებით დატოვა. 1991 წლიდან გერმანიის „დრეზდენ ბანკის“ სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, 2002-2005 წლებში კი ამ ბანკის პრეზიდენტი იყო. 2006 წლიდან, „დრეზდენ ბანკის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა.

„ვერსია“ დაინტერესდა, რამდენად რეალურია ის საფრთხე, რაზეც ექსპერტი, ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს, შეძლებს თუ არა კრემლი ვითიბი ბანკი ჯორჯიას გამოყენებას, რომ საქართველოში ინფლაციური პროცესები გამოიწვიოს. ექსპერტთა კლუბის თავმჯდომარემ, **სოსო ცისკარიშვილმა** აღნიშნა, რომ რუსეთის მზაკვრულ ფანტაზიას საზღვარი არ აქვს და საქართველოზე ზემოქმედების ისეთ მოდელს შეარჩევს, რომელიც დასავლეთის ქვეყნებისთვის სრულიად მიუღებელი იქნება:



**„თუ რუსეთი საქართველოზე ზემოქმედებას ეკონომიკურ სფეროში გადაწყვეტს, ამის წინმსწრებად, რუსეთის სანიტარული ექიმი ქართულ პროდუქციაში ყველა სახის შხამიან ნივთიერებას აღმოაჩენს და ზარ-ზეიმით შემდგარი რუსული ბაზარი ისევ მოგონებას მიეცემა. ვფიქრობ, ნებისმიერი სახის ზეწოლის პრევენცია ალტერნატიული გზების ძიებითაა შესაძლებელი, მაგრამ აუცილებელი არ არის, ამ მხრივ, საქართველოს ხელისუფლება, საკუთარი ქმედებების ანონსირებაში, ზედმეტად საჯარო იყოს.**

**რაც შეეხება ვითიბი ბანკ ჯორჯიას, როგორც რუსეთის იარაღს, ამ ზეწოლაში გარკვეული მონაწილეობა შეიძლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღოს, თუ საქართველოს ბაზარზე არსებობა აღარ სურს. საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში თუ რამეა წარმატებული, მხოლოდ საბანკო სისტემაა და სხვაგვარად „ვნეშტორგბანკი“ მხოლოდ საკუთარ თავს ავნებს. ვფიქრობ, რუსეთი ვითიბი ბანკ ჯორჯიას ისევე არ გაწირავს, როგორც ენერგეტიკულ საყრდენს, რომელიც დღეს საქართველოში აქვს“.**

„მემარჯვენეების“ ეკონომიკური მიმართულების ხელმძღვანელმა, **ლევან კალანდაძემ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ თეორიულად შესაძლებელია, რუსეთმა ვითიბი

*დასასრული მე-7 გვერდზე*

*მე-6 გვერდიდან*

ბანკ ჯორჯიას გამოყენებით, საქართველოში ეკონომიკური პროცესის მანიპულირება და საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელება შეძლოს, მაგრამ, პრაქტიკულად, ეს წარმოუდგენელია:



— საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) კომერციულ ბანკებში ფულადი ტრანზაქციის ყოველწუთიერ კონტროლსა და მონიტორინგს ახორციელებს. თუ ქალბატონი ხათუნა ლაგაზიძის ვარაუდი საფუძვლიანია, ეს ნიშნავს, რომ „ვნეშტორგბანკი“ სახელმწიფოს წინააღმდეგ უნდა წავიდეს, მაგრამ ეროვნულ ბანკს ყველა სახის რეგულაცია და მექანიზმი აქვს, რათა მსგავსი ტიპის ტრანზაქცია აღკვეთოს. მხოლოდ თეორიულ შანსს ვუშვებ, მაგრამ ამასაც იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს წინააღმდეგ წავა როგორც ვითიბი ბანკი ჯორჯია, ასევე ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო და მთელი სახელმწიფო აპარატი! წინააღმდეგ შემთხვევაში, სებ-ში კომერციული ბანკების ტრანზაქციების კონტროლი იმდენად მაღალ დონეზეა, რომ ეს ყოვლად წარმოუდგენელი და განუხორციელებელი იდეაა, მით უმეტეს, დღეს, როცა ლარის კურსის არასტაბილურობის კონტექსტში — სებ-ი აბსოლუტურად ყველა ტრანზაქციას ლუპით აკვირდება. ამ დღეებში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, გიორგი ქადაგიძეს შევხვდი და სხვადასხვა საკითხთან ერთად, კომერციული ბანკების მიერ გარკვეული სპეკულაციური ოპერაციების შესაძლებლობაც განვიხილეთ. დარწმუნებული ვარ, ამის პრაქტიკული შესაძლებლობა ქვეყანაში არ არსებობს.

**— ბატონო ლევან, სწორედ ამ თეორიულ შესაძლებლობას გავყვეთ — „ვნეშტორგბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და ბანკის მმართველ მენეჯმენტში, რამდენიმე ისეთი ადამიანია, რომელთაგან ზოგს მაიორის წოდება აქვს, ზოგი კი საბჭოთა კავშირის დროს, ხელისუფლების აღმასრულებელ გუნდსა და დიპლომატიურ კორპუსში მუშაობდა...**

— ამაში გასაოცარი არაფერია, რადგან აბსოლუტურად ყველა მსხვილი რუსული კომპანია სახელმწიფო პოლიტიკის ინტერესების გამტარებელია — ასეა „ვნეშტორგბანკი“, „სბერბანკი“, „გაზპრომი“, ნავთობისა და გაზის კომპანიების უმრავლესობა. სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ კომპანიებში, მთავარ მმართველ რგოლსა და გადაწყვეტილების მიმღებ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობას ახლაც კგბ აკონტროლებს.

**— არ მიკვირს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ამ კომპანიებს კგბ აკონტროლებს, „ვნეშტორგბანკის“ მმართველი რგოლი პუტინს წინააღმდეგობას როგორ გაუწევს?**

— ყოვლად წარმოუდგენელია და ვერც ვუშვებ, რომ რუსეთმა საქართველოში ასეთი ინტერვენცია განახორციელოს... ჯერ ერთი, მე-19 საუკუნე არ არის, ფულის შემოტანითა და მისი ბრუნვაში გაშვებით დესტრუქციული ეკონომიკური პროცესები გამოიწვიო, დღეს, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, ამის განხორციელება ყოვლად შეუძლებელია, ეს ვერც მე-20 საუკუნეში მოხდებოდა, რადგან ამ პროცესის მონიტორინგისა და კონტროლის საშუალება მაშინაც არსებობდა.

„ვერსიასთან“ საუბრისას, საბანკო ასოციაციის პრეზიდენტმა **ზურაბ გვასალიამ** აღნიშნა, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ, ვითიბი ბანკ ჯორჯიას გამოყენებით, საქართველოს ეკონომიკაზე ასეთი ზეწოლა წარმოუდგენელია:

**„დავუშვათ, რუსეთის ხელისუფლების დავალებით, „ვნეშტორგბანკმა“ ვითიბი ბანკ ჯორჯიას, მართლაც, გამოუყო დიდი ფულადი ტრანზაქცია. ეს საკრედიტო რესურსი იქნება, რომელსაც ბანკი ისევ კრედიტების სახით გასცემს. როგორ გგონიათ, გამოიტანს ამ საკრედიტო რესურსს და აჩუქებს ვინმეს თუ მთაწმინდაზე ავა და იქიდან გადმოყრის? შესაბამისად, ინფლაციას ვერ გამოიწვევს და პირიქით, ასეთი ტრანზაქციის შემთხვევაში, ქართული ეკონომიკა მხოლოდ იხეირებს იმიტომ, რომ კრედიტს ისევ საქართველოს მოქალაქეები აიღებენ. გარდა ამისა, ფულად ტრანზაქციებს არა მარტო საქართველოს ეროვნული ბანკი, არამედ ფინანსური მონიტორინგის სამსახურიც**



**აკონტროლებს. კანონის მიხედვით, თუ ფულადი ტრანზაქცია 30 000 აშშ დოლარს აღემატება, ასეთი გადმორიცხვა ფინანსური მონიტორინგის სამსახურმაც უნდა გააკონტროლოს. ეს კანონი რომ არ მიგვეღო, საქართველო „შავ სიაში“ მოხვდებოდა, რადგან ევროკავშირის მიერ დადგენილი საერთაშორისო რეგულაციაა“.**

**P.S.** „ვერსია“ კომენტარისთვის ვითიბი ბანკ ჯორჯიას მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსს, გიორგი ბარკალაიას დაუკავშირდა, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ იმყოფება, ამიტომ კითხვა — რამდენად რეალურია ექსპერტ ხათუნა ლაგაზიძის ვერსია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს ეკონომიკური დივერსიისთვის ვითიბი ბანკ ჯორჯია გამოიყენოს? — ელექტრონული ფოსტის საშუალებით გადავუგზავნეთ. პასუხს ორი დღის განმავლობაში ველოდით, მაგრამ უშედეგოდ.



## ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲨᲘ „ᲚᲐᲠᲡᲘ ᲰᲔᲡᲘ“ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, ასეთი ობიექტების მშენებლობით უმწვავესი პრობლემის — მთის მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება და ცხოვრებისთვის შესაფერისი სოციალური პირობების შექმნაა შესაძლებელი.

**„ასეთი ობიექტები ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების გარანტიაა. როგორც ვიცი, მოწესრიგდა მიმდებარე ინფრასტრუქტურაც, რაც დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნის. ამ ულამაზეს ხეობაში, სადაც გადის ტურისტული თუ კომერციული მარშრუტები, იქნება სასტუმროები, კვების ობიექტები, იქნება მუდმივი ელექტრომომარაგება, ხალხი იქნება დასაქმებული, მოსახლეობა იქნება მოვლენების ეპიცენტრში, ახალგაზრდობისთვის აქ დარჩენა იქნება უკვე საინტერესო და მიმზიდველი. რეგიონი ფეხზე დადგება“,** — განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა.

კახა კალაძემ მადლობა გადაუხადა ყველას, ვისაც წვლილი შეაქვს საქართველოს გაძლიერებაში და წარმატება უსურვა ჰესზე დასაქმებულ პერსონალს, ხოლო კომპანიას — ენერგეტიკის სექტორში მუშაობის წარმატებით გაგრძელება.

**„ჩვენ მივიყვანთ ქართულ ენერგეტიკას დამოუკიდებლობამდე, ქართული ენერგეტიკა კი მიიყვანს ქვეყნის ეკონომიკას მაქსიმალურ განვითარებამდე და კეთილდღეობამდე“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

„ლარსის ჰესის“ დადგმული სიმძლავრე 19 მგვტ-ია, ხოლო წლიური გამომუშავება 100 მლნ კვტ/საათს შეადგენს. ახალი ჰიდროელექტროსადგური დერივაციული ტიპისაა და მას კომპანიები „ფერი“ და „ენერგია“ აშენებენ. ჰესის ასაშენებლად შპს „ენერგიას“, რომლის 30%-იან წილს „ფერი“ ფლობს, 30 მილიონი აშშ დოლარის სესხი „თიბისი ბანკისგან“ აქვს აღებული. კომპანიას სესხის უზრუნველსაყოფად ბანკში „ლარსის ჰესის“ გვირაბგამყვანი ტექნიკა და მფლობელების წილები აქვს დაგირავებული.

ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, კომპანიამ დაბა ყაზბეგში, მდინარე თერგზე „ლარსი ჰესის“ მშენებლობა 2011 წელს დაიწყო და ჰესის მშენებლობაში 20 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია ჩაიდო. ჰესის ოპერირების მიზნით, კომპანიამ 110 კვ ქვესადგური ააშენა, რომელიც ელექტროსადგურს ცენტრალურ ენერგოსისტემასთან დააკავშირებს. ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებით, „ლარსი ჰესის“ გამომუშავებული ელექტროენერგია მთლიანად ენერგოსისტემას მიეწოდება.

***bpn.ge***

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

# ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲐᲠᲒᲐᲛᲐᲫᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲓᲐᲜ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐᲨᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ?



სად არის და რატომ გაქრა პოლიტიკური ასპარეზიდან ერთ დროს საკმაოდ აქტიური ოპოზიციური ლიდერი გიორგი თარგამაძე? „ვერსიის“ ინფორმაციით, ქრისტიან-დემოკრატების თავმჯდომარემ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების, განსაკუთრებით კი, ბიძინა ივანიშვილთან ღია დაპირისპირების შემდეგ, პოლიტიკურ ცხოვრებაზე უარი განაცხადა და საკუთარ მომავალს ისევ ტელევიზიაში ან აშშ-ში გამგზავრებაში ხედავს. ამ საკითხთან დაკავშირებით, თავად გიორგი თარგამაძემ „ვერსიასთან“ საუბარი არ ისურვა, ამიტომ ინფორმაციის გადასამოწმებლად მის თანამებრძოლს, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, **ლევან ვეფხვაძეს** დავუკავშირდით, რომელმაც თარგამაძის პოლიტიკურ ტაიმ-აუტთან დაკავშირებული ინფორმაცია ნაწილობრივ დაადასტურა და განაცხადა, რომ პარტიაში არსებული გაურკვევლობა, დაახლოებით, ერთ კვირაში დასრულდება:

**„გიორგი თარგამაძის პოლიტიკური პასიურობა ბიძინა ივანიშვილთან დაპირისპირებასთან კავშირში არ არის. უბრალოდ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გადაწყვიტა, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, ჩამოყალიბდეს. გიდასტურებთ, რომ ამ მიმართულებით პარტია, მეტ-ნაკლებად, გაურკვეველ ვითარებაშია, რაც თვითმმართველობის არჩევნებამდე ჩვენთვის აბსოლუტურად წამგებიანია, მაგრამ ყველაფერი ერთ კვირაში გაირკვევა და საზოგადოება იმასაც შეიტყობს, დარჩება თუ არა გიორგი თარგამაძე პარტიის თავმჯდომარედ. ჯერ კიდევ ორი თვის წინ, პარტიის წევრების შეკრებაზე, გიორგიმ განგვიცხადა, რომ პარტიის თავმჯდომარესთან დაკავშირებით ცვლილებებია საჭირო, თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, პოლიტიკურად გააქტიურების გადაწყვეტილება მიიღოს.**

**რაც შეეხება გიორგი თარგამაძის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ინფორმაციას, ამაზე ვერაფერს გეტყვით. ზოგადად, პოლიტიკაში მიდიან და მოდიან, ეს ჩვეულებრივი პროცესია. მას ჩვენთან არც აშშ-ში გამგზავრებასთან დაკავშირებით უსაუბრია, თუმცა, როგორც გითხარით, ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა“.**

*რუსუდან შელია*

## „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2“-ᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲛᲐ „ᲘᲛᲔᲓᲘᲡᲐᲡ“ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲐ

ტელეკომპანიების სარეკლამო შემოსავალმა, 2013 წლის მეოთხე კვარტალში, მესამესთან შედარებით, მნიშვნელოვნად მოიმატა.

კომუნიკაციის ეროვნული კომისიის ინფორმაციით, მაუწყებელთა შორის უპირობო ლიდერი კვლავ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ია, რომლის შემოსავლები, თითქმის 9 მილიონი ლარით ანუ 2,5 -ჯერ გაიზარდა და 15,2 მილიონი ლარი შეადგინა, აქედან, ძირითადი ნაწილი, 26% (11,2 მილიონი ლარი) რეკლამიდან მიღებული ფინანსური სახსრებია.

მეორე ადგილზე, 7,5 მილიონი ლარით, „იმედია“, რომლის შემოსავლები მეოთხე კვარტალში 4,3 მილიონი ლარით გაიზარდა, აქედან, 5,5 მილიონი ლარი — რეკლამიდან მიღებული ფინანსებია. გაორმაგდა ტელეკომპანია „მაესტროს“ შემოსავლებიც და 2,5 მილიონი ლარით განისაზღვრა.

დაახლოებით, 1 მილიონ ლარს შეადგენს ტელეკომპანია GMG-ის („გლობალ მედია ჯგუფის“) შემოსავლები.

აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანია tv 3-ის შემოსავლები მეოთხე კვარტალში 15 ათასიდან 142 ათას ლარამდე გაიზარდა და ტელეკომპანია „კავკასიის“ შემოსავლებს (144 ათას ლარს) გაუთანაბრდა.

***bpn.ge***

# რატომ ემთხვევა ევროკომისრისა და ნაციონალების შეფასებები ერთმანეთს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებაზე დაკვირვებას აგრძელებს. ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარი ნილს მუჟნიეკსი კი სისხლის სამართლის ზოგიერთ საქმეში შერჩევითი სამართლის ნიშნებს ხედავს: „საუბარია იმაზე, რომ დაცვის მხარეს არ ეძლევა სათანადო და თანაბარი უფლება სხვა მხარესთან შედარებით. შენარჩუნებულია სხვა ხარვეზებიც... პრეტენზიები, რომლის შესახებაც ინფორმაცია მომაწოდეს, იმას უკავშირდება, რომ ადგილობრივი მთავრობის ზოგიერთ წევრთან მიმართებაში ხორციელდება არამართებული ქმედება. იუსტიციის სამინისტროსგან მივიღეთ დაპირება, რომ უწყება ამ საკითხს შეისწავლის. ორივე მხარისგან დაველოდებით შესაბამის ინფორმაციას“.**



კიდევ ერთი პრობლემა, რაზეც თბილისში ვიზიტისას ნილს მუჟნიეკსმა აქცენტი გააკეთა, უდანაშაულობის პრეზუმპციაა:

**„ასევე მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები თავისი განცხადებებებით, ზოგჯერ არღვევენ უდანაშაულობის პრეზუმპციას და პირს დამნაშავედ განაჩენის გამოტანამდე აცხადებენ. ამიხსნეს, ზოგჯერ ხელისუფლების წარმომადგენლებს ავიწყდებათ, რომ ისინი აღარ არიან ოპოზიციაში“.**

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ეჭვობს, რომ უფლებადაცვით ევროკომისიას ზემოხსენებული შეფასებებისთვის მზაობა თბილისში ჩამოსვლამდე ჰქონდა და ასეთი ტიპის დასკვნები ნაციონალური მოძრაობის ფორმულირებას ჰგავს:

**„ის, რომ ფორმულირებები ნაკლებად შეესაბამება სინამდვილეს, ნაციონალების გულშემატკივრების გარდა, ყველასთვის ცხადია. ევროპელებისგან ჩვენი მოსახლეობის განწყობის უგულებელყოფას პირველად არ ვხედავთ, ამიტომ ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, ძნელია, ნდობით განვეწყო კომისიის დასკვნისადმი.**

**რაც შეეხება ხელისუფლების წარმომადგენლებს, მათი მხრიდან გულახდილი განმარტებაა, ვერაფერს იტყვი: მართლაც, ხშირად ავიწყდება დღევანდელ მთავრობას, რომ არც ოპოზიციაშია და არც პოლიტიკური ბრძოლის სუბიექტია. აუცილებელი არაა, ყველა ფრაგმენტში მებრძოლი და აგრესიული პოლიტიკური მეტოქე იყო, როგორც ეს წინასაარჩევნო გარემოს სჩვევია. ხელისუფლება, ჯერჯერობით, წინასაარჩევნო მოქმედების სტილიდან არ გამოსულა“.**

რამდენად აისახება ასეთი ტიპის შეფასებები ევროინტეგრაციის გაცხადებულ პროცესზე? — რამაზ საყვარელიძის თქმით, ეს პოლიტიკა სახელისუფლებო სტრუქტურების მხრიდან ხორციელდება და ანალოგიური შენიშვნები წინსვლას არ შეაჩერებს:

**„დამაფიქრებელია, რა დასკვნას გამოიტანს ევროკავშირი მის მიერვე დაშვებული შეცდომებიდან. არასწორ ნაბიჯებს ყველა დგამს, მათ შორის, ევროგაერთიანებაც და მისი შეცდომების ერთ-ერთი რეზულტატია, რაც კიევის ქუჩებში ხდება. როცა პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ასოცირების ხელმოწერაზე უარი თქვა, თავად დასავლელმა ანალიტიკოსებმა განაცხადეს, რომ ევროკავშირმა უკრაინა ტიმოშენკოს ნაწნავს გადააყოლა. მართლაც, ჯიუტი მოთხოვნა, რომ ტიმოშენკოს თემა სხვანაირად ყოფილიყო გათამაშებული, ევროკავშირს, შეიძლება, იმად დაუჯდეს, რომ უკრაინაზე გავლენა საერთოდ დაკარგოს. შეიძლებოდა, ყველაფერი უფრო ფრთხილად და მიზანმიმართულად გაკეთებულიყო, ქართული ანდაზის არ იყოს, ხერხი სჯობია ღონესაო... ევროსტრუქტურებმა საქართველოსთან დაკავშირებითაც, შეიძლება, ანალოგიური შეცდომა დაუშვან. ცოტა ხნის წინ, ე.წ. სამხრეთ ოსეთზე მათი ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებებმა გაგვაღიზიანა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროკავშირშიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ოღონდ უფრო ამბიციურები, ვიდრე პოსტსაბჭოთა სივრცეში და უფრო დარწმუნებულები, რომ არაფერი ეშლებათ, მაშინ ასეთმა ფაქტებმა არ უნდა გაგვაღიზიანოს. არც ისე უნდა იყოს, რასაც ევროკავშირის წარმომადგენელი იტყვის, სახარებაა“.**

საქართველოს ევროპულ არჩევანს ალტერნატივა არ აქვს. ევროსტრუქტურების შენიშვნების გათვალისწინებაც, როგორი მიკერძოებული და პოლიტიკურად ანგაჟირებულიც უნდა იყოს, კანონის, სამართლიანობის განმტკიცებასა და ქვეყნის განვითარებას წაადგება. დროა, ხელისუფლების წარმომადგენლებიც წინასაარჩევნო ეიფორიიდან გამოვიდნენ, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივი არჩევნები კარსაა მომდგარი...



## ილია II: „თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში არასოდეს ყოფილა ბრძოლა რელიგიურ ნიადაგზე“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარ ნილს მუჟნიეკს შეხვდა. უწმინდესმა მადლობა გადაუხადა ნილს მუჟნიეკს საქართველოში ჩამოსვლისთვის და აღნიშნა, რომ მისი ვიზიტი საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია.

**„ჩვენ ვცხოვრობთ რთულ დროში და თქვენი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. ის მოვლენები, რომლებიც ვითარდება უკრაინაში, მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად რთული სიტუაციაა მსოფლიოში. მგონია, თქვენი ჩამობრძანება ძალიან საჭიროა ჩვენთვის, ყველაფერს ვაკეთებთ, რათა საქართველო გახდეს ევროსტრუქტურების წევრი. საქართველო, მოგეხსენებათ, უძველესი კულტურის ქვეყანაა და ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ ჩვენს ურთიერთობაზე, ჩვენს კავშირებზე, უნდა იყოს გათვალისწინებული ის მრავალსაუკუნოვანი უძველესი კულტურა, რომელიც საქართველოს აქვს“,** — აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

თავის მხრივ, ნილს მუჟნიეკსმა მადლობა გადაუხადა პატრიარქს მიღებისთვის და აღნიშნა, რომ უწმინდესი მის წინამორბედს, თომას ჰამარბერგს არაერთხელ შეხვედრია, ეს შეხვედრები ემთხვეოდა რუსეთის ომსა და მის შემდგომ პერიოდს. ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარმა აღნიშნა, რომ თომას ჰამარბერგი უწმინდესისგან დიდ მორალურ მხარდაჭერას იღებდა ამ ვიზიტების დროს.

**„ბრძანეთ, რომ რთულ დროში ცხოვრობთ, უკრაინაში განვითარებული მოვლენები მეტყველებს იმაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების დაცვა, არ უნდა დავუშვათ ძალადობა, ძალმომრეობა და ტკივილი. ჩემს მთავარ ამოცანას ვხედავ იმაში, დავეხმარო საქართველოს და ევროპის საბჭოს წევრ სხვა სახელმწიფოებს, ნამდვილად ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული კულტურა ჩამოაყალიბონ. ევროპა პატივს სცემს ყველა ერის, ყველა ხალხის ისტორიას, ტრადიციებსა და კულტურას“,** — აღნიშნა შეხვედრაზე ნილს მუჟნიეკსმა.

სტუმარი ასევე დაინტერესდა პატრიარქის შეხედულებებით საქართველოში სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ჯგუფებთან დაკავშირებით და ამ ჯგუფების ურთიერთობაზე. ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარმა აღნიშნა, რომ საქართველოში ყოფნის დროს შეხვდა სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლებს, განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე პირებს. მან კათოლიკოს-პატრიარქს ამ თვალსაზრისით შეხედულებებისა და მოსაზრებების გაზიარება სთხოვა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები საქართველოში უძველესი დროიდან იყვნენ, კერძოდ, 26 საუკუნის განმავლობაში საქართველოში ცხოვრობდნენ ებრაელები, ასევე მუსლიმები, ქრისტიანული დენომინაციების წარმომადგენლები:

**„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც არასოდეს ყოფილა ბრძოლა რელიგიურ ნიადაგზე. ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთმანეთს, ხშირად ვუზიარებთ ერთმანეთს აზრებს, საკითხებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემდეგ წარმოიშვა, ძმური სიყვარულით ვწყვეტთ. მე, თავად, აღზრდილი ვარ ისეთ ოჯახში, რომლის მეგობრები ისლამის წარმომადგენლები იყვნენ და ჩვენს ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ. ვხედავ, რომ საქართველო სამაგალითოა სხვა ქვეყნებისათვის ამ ურთიერთობებში“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

## ვერსიანიუსი





## რიჩარდ ნორლანდი: „საქართველო ნატო-ს კარგი და სანდო პარტნიორია!“

ამერიკელი სამხედროები ადასტურებენ ქართველი სამხედროების მაღალ პროფესიონალიზმსა და სულისკვეთებას, რომელსაც ისინი ავღანეთში იჩენენ, — ამის შესახებ აშშ-ს ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა ალექსეევკის აეროპორტში განაცხადა, სადაც საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთან ერთად, ავღანეთიდან დაბრუნებულ ქართველ სამხედროებს დახვდა.

ელჩის თქმით, საერთაშორისო მისიაში მონაწილეობით საქართველო ადასტურებს, რომ არის ნატო-ს კარგი და სანდო პარტნიორი, რაც საბოლოო ჯამში, საქართველოს ნატო-სკენ გზას გაუკვალავს.

**„განსაკუთრებული მომენტია ჩემთვის, როგორც ამერიკელი დიპლომატისთვის. რამდენიმე თვის წინ მქონდა პატივი, დავსწრებოდი მათი გამგზავრების ცერემონიას, როდესაც მიემგზავრებოდნენ ჰელმანდის პროვინციაში ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად. ამჟამად, დაბრუნებულებს მივესალმებით. ამერიკელი სამხედროები ადასტურებენ ქართველი სამხედროების პროფესიონალიზმსა და სულისკვეთებას, რომელსაც ავღანეთში იჩენენ. ვფიქრობ, ავღანეთში შესრულებული მისიისას ქართველები ასევე ხვეწენ თავიანთ უნარ-ჩვევებს. ეს მაღალი პროფესიონალიზმის ხარისხი ნიშნავს საქართველოს მეტ უსაფრთხოებას. ამით საქართველო ადასტურებს, რომ ნატო-ს კარგი და სანდო პარტნიორია, რაც საბოლოოდ, საქართველოს გზას გაუკვალავს ნატო-სკენ. დაბოლოს, არ დაგვავიწყდეს ის მიზეზები, რის გამოც ქართველი სამხედროები ავღანეთში გაემგზავრნენ ამერიკელ სამხედროებთან ერთად მისიის შესასრულებლად. ეს გახლავთ ავღანეთის თითოეული მოქალაქის სურვილი და არჩევანი, იცხოვროს თავისუფლად, შიშისა და მუქარის გარეშე, ჰქონდეს უფლება, თავად გააკეთოს ეკონომიკური და უსაფრთხო არჩევანი. ამით საშუალებას აძლევენ ავღანელ მოქალაქეებს, რომ ეს შეასრულონ. საქართველო იცავს არჩევანის თავისუფლებას და ამერიკა, თავის მხრივ, მხარს უჭერს საქართველოს არჩევანის თავისუფლებას“,** — განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

*„ინტერპრესნიუსი“*

# 4 000 დასაქმებული ხუდონჰესზე და 85 000 000 აშშ დოლარამდე შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტში

**საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობისთვის ხუდონჰესს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ამას საქართველოს მთავრობის წევრებიც აღიარებენ. ხუდონის მშენებლობის პარალელურად, საინტერესოა, რა სახის კომპენსაციებს გასცემს სახელმწიფო ხაიშის მოსახლეობისთვის, როგორია ადგილობრივი მოსახლეობის განსახლების გეგმა, დაცულია თუ არა გარემოს პირობები და რა ეკონომიკურ ეფექტს მოუტანს სახელმწიფოს ბიუჯეტს ხუდონჰესი. „ვერსიას" საქართველოს ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ესაუბრება.**




**— ბატონო კახა, ფაქტია, რომ უხვმდინარიანმა ქვეყანამ ჰიდრორესურსები უნდა გამოიყენოს, მაგრამ აუცილებელია ვიცოდეთ, არის თუ არა დაცული გარემოპირობები ხუდონჰესის მშენებლობის დროს. პრობლემა, მართლაც, სერიოზულია და სვანებსაც გულწრფელად აინტერესებთ, უნდა აშენდეს თუ არა ხუდონჰესი?**

— ხუდონჰესი, მართლაც, მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც ენგურჰესის შემდეგ, სიდიდით, მეორე იქნება ქვეყანაში. ხუდონჰესის სიმძლავრე 700 მეგავატი უნდა იყოს, რომელიც ეკონომიკური ეფექტურობის თვალსაზრისით, ქვეყნისთვის ძალიან მომგებიანი იქნება. როდესაც ხუდონჰესის პრობლემებზე საუბრობენ, ძირითადად, ეკოლოგიურ მდგომარეობას გულისხმობენ, მაგრამ არსებობს სპეციალისტების დასკვნები, სადაც დადასტურებულია, რომ ეკოლოგიური მიმართულებით, ამ პროექტის გარემოზე ზემოქმედება საკმაოდ მცირეა. პრობლემა ნამდვილად არ არის, სხვათა შორის, გარემოს დაცვის სამინისტრომაც ჩამოიყვანა ჰოლანდიელ ექსპერტთა ჯგუფი და მათაც დაასკვნეს, რომ ეს პროექტი საუკეთესო ვარიანტია. ხუდონჰესის ყველაზე დიდი პრობლემა ადგილობრივი მოსახლეობა და მათი სოციალური პრობლემებია, რაც ძალიან კარგად გვესმის. როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, სხვადასხვა მემორანდუმის განხილვა დავიწყეთ. ხუდონჰესის პროექტის განხილვის დროს, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის, მათ შორის, „მწვანე ალტერნატივას" მონაწილეობით, ჯგუფი შევქმენით და 2011 წელს, ინდურ კომპანია „ტრანს ელექტრიკასთან" გაფორმებული ხელშეკრულების განხილვა დავიწყეთ. ამ განხილვის დროს, რამდენიმე საკითხი გავაუმჯობესეთ კიდეც, მაგალითად, ხელშეკრულებაში გაწერილი იყო, რომ ინდურ კომპანიას მხოლოდ სამი თვის განმავლობაში უნდა დაეტოვებინა ელექტროენერგია საქართველოში, ჩვენ სამი თვე, ოთხით შევცვალეთ, რაც აშკარად დადებითი მომენტია. მეტიც, ხელშეკრულებაში დავაფიქსირეთ ციფრი, რასაც საქართველო ელექტროენერგიის შესყიდვაში გადაიხდის და ეს არის 5,84 ცენტი 1 კვტ/სთ ელექტროენერგიაში, 10 წლის განმავლობაში. დღევანდელი მდგომარეობით, როდესაც იმპორტირებულ დენში, რუსეთს 1 კვტ/სთ-ში — 6,03 ცენტს ვუხდით, 5,84 ცენტი უკვე ნაკლებია.

**— ხუდონჰესის ეკონომიკური ეფექტი ახსენეთ და კონკრეტულად, რას გულისხმობდით?**

— ხუდონჰესზე 4 000 ადამიანი დასაქმდება და სახელმწიფო ბიუჯეტში, მათი ხელფასიდან დაქვითული საშემოსავლო გადასახადის სახით, 23 000 000 ლარი შემოვა, მოგების გადასახადიდან — 22 000 000 ლარი, ხოლო ქონების გადასახადის სახით — 20 000 000 ლარი. რაც მთავარია, ეს 20 000 000 ლარი ადგილობრივ ბიუჯეტში, სვანეთის მუნიციპალიტეტში დარჩება. წარმოიდგინეთ, რამხელა თანხაა იმისთვის, რომ სვანეთი განვითარდეს და ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდეს. ცალკე უნდა განვიხილოთ ელექტროენერგიის თურქეთში ექსპორტი, რომელსაც ინდური კომპანია „ტრანს ელექტრიკა", დენის გატარების ტარიფის სახით განახორციელებს და ამით, ყოველწლიურად, 19 000 000 ლარი შემოვა ბიუჯეტში. ზოგადად, ხუდონჰესის პროექტის საშუალებით, 35 000 000 აშშ დოლარიდან, 45 000 000 აშშ დოლარამდე დავზოგავთ, რასაც ახლა ყოველწლიურად ვუხდით რუსეთს. ხუდონჰესის ხარჯზე კი ენგურსაც მოემატება ელექტროენერგიის გამომუშავება და ჯამში, 500 000 000 მეგავატს მივიღებთ. თუ ადგილობრივ ბაზარზე არ დაგვჭირდება, სახელმწიფო შეძლებს, დამატებითი ელექტროენერგია თურქეთში, ევროპულ ფასად გაყიდოს. რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, ჯგუფმა, რომელიც ამ მემორანდუმზე მუშაობდა, დასკვნაში ჩაწერა, რომ მოსახლეობის გადასახლება მსოფლიო ბანკის რეგულაციებით განხორციელდება, რაც ნიშნავს, რომ თითოეულ მოსახლესთან შედგება მოლაპარაკება, მათი ქონება შეფასდება და აღიწერება, კომპენსაციის სახით კი საკმაოდ სოლიდურ თანხას გავცემთ. მიუხედავად ამისა, ნამდვილად არ გვინდა, ამ ხალხმა თანხა აიღოს და ზოგი თბილისში ჩამოვიდეს, ზოგი ბათუმში, ზოგი საზღვარგარეთ. არ გვინდა, სვანეთი დაიცალოს და ამიტომ, მოსახლეობასთან ერთად, უნდა გადავწყვიტოთ, იქვე, ახალი სოფელი გავაშენოთ, რათა ეს ხალხი ადგილზე დარჩეს. ჩვენ ყველანაირად დავეხმარებით მათ, კომფორტულ პირობებსაც შევუქმნით და ინფრასტრუქტურასაც მოვუწყობთ, რათა ცხოვრება ჩვეულ რიტმში და კიდევ უფრო უკეთ განაგრძონ. ამიტომაც გვინდა, ადგილობრივ მოსახლეობას ადამიანურად ავუხსნათ, რომ ხუდონჰესი მხოლოდ ჩვენთვის არ შენდება, ეს საშვილიშვილო და საერო საქმეა! სხვათა შორის, ბევრი მანიპულირებს იმითაც, რომ თუ ხუდონჰესი აშენდება, ეკლესიები და სასაფლაოები ჩაიძირება, რაც დიდი ტყუილია. პასუხისმგებლობას ვიღებთ, ახალ ადგილზე, სადაც სოფელი გაშენდება, ყველა საფლავს გადავიტანთ, მათ შორის იმ საფლავებსაც, რომლებსაც ჭირისუფლები არ ჰყავთ! არც ისე დიდი ხნის წინ, მოვიძიე მონაცემები, რამდენი ადამიანი ცხოვრობდა მესტიაში წლების განმავლობაში და რამდენმა დატოვა საკუთარი საცხოვრებელი. მაგალითად, 1989 წლიდან, მესტიის მუნიციპალიტეტში 25 000 ადამიანი ცხოვრობდა, დღეს კი მხოლოდ 12 000-ია დარჩენილი. ამ დრომდე, ჰიდროელექტროსადგური ხომ არ აშენებულა? ესე იგი, ჰესი მოსახლეობის მიგრაციის მიზეზი ნამდვილად არ არის! ხალხი კატასტროფულ პირობებში ცხოვრობს და სწორედ ესაა მიგრაციის მიზეზი, ჩვენ კი, პირიქით, ხალხს ვეუბნებით, რომ მათ სოციალურ მდგომარეობას გავაუმჯობესებთ. ჰესის მშენებლობის დასრულებისთანავე, ტურისტული ზონის მოწყობას ვგეგმავთ, სასტუმროები და ლამაზი გადასახედების აშენებას ვაპირებთ, როგორც ევროპის ქვეყნებშია მიღებული, სადაც ჰესები ტურისტულ ზონებადაა მოწყობილი.

„ვერსია" ხუდონჰესის მშენებელ კომპანია „ტრანს ელექტრიკ ჯორჯიას" წარმომადგენლებსაც დაუკავშირდა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ადგილობრივებმა მსუყე კომპენსაციები უნდა მიიღონ და მათი პირობებიც გონივრულად უნდა დაკმაყოფილდეს. „ტრანს ელექტრიკ ჯორჯიამ", რომელიც ხუდონჰესის მშენებლობის პროექტს ახორციელებს, პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული მოსახლეობის განსახლების გეგმის მეორე ფაზის შესამუშავებლად, ხელშეკრულება 2013 წლის ივლისში, მსოფლიოში ცნობილ კანადურ კომპანია rePLAN-სა და განსახლების საერთაშორისო ექსპერტთან, ფედერიკო ჯოვანეტთან გააფორმა:

**„კონტრაქტორებთან ერთად, კომპანია განსახლებისა და კომპენსაციის გეგმის შემუშავების დროს, გარემოსა და განსახლებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის, არსებული რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოქმედებს. განსახლების საერთაშორისო (მსოფლიო ბანკის) პოლიტიკის მოთხოვნებით განსაზღვრულია, რომ ზემოქმედების ქვეშ არსებული მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი არ უნდა გაუარესდეს; კომპენსაციისა და განსახლების პროგრამა, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობასთან კონსულტაციების საშუალებით უნდა შემუშავდეს; მიწის გამოსყიდვა მოლაპარაკებების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების გზით უნდა განხორციელდეს; ყველა სახის კომპენსაცია სანაცვლო ღირებულებით უნდა შეფასდეს; განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოწყვლად ადამიანებს; შემუშავდება საჩივრების მექანიზმი. ხუდონის პროექტის კაშხალი და რეზერვუარი, 528 ჰექტარ მიწას მოიცავს, რაც სვანეთის ტერიტორიის 0.12%-ია, რეზერვუარისა და სამშენებლო მოედნის ტერიტორია ტყისა და კერძო მიწების ნაწილს მოიცავს. დაგეგმილია ზემოქმედების ქვეშ არსებული სასაფლაოებისა და საფლავების გადატანა. წინასწარ ჩატარებულმა კონსულტაციებმა ცხადყო, რომ მოსახლეობის უმეტესობა დაინტერესებულია, კომპენსაცია ნაღდი ფულის სახით მიიღოს და საცხოვრებლად, მათ მიერ შერჩეულ ადგილზე გადავიდეს"**.

რაც შეეხება მიწის აზომვასა და რეგისტრაციას, შესასყიდი მიწებიდან, მხოლოდ მცირედი ნაწილია რეგისტრირებული. ვიდრე კომპანია მოსახლეობისგან მიწის გამოსყიდვის პროცედურას დაიწყებს, სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეიქმნება, რომელიც უახლოეს პერიოდში, აზომვას დაიწყებს და ხაიშელებს მიწის უსასყიდლოდ რეგისტრაციაში დაეხმარება.

„ვერსიას" იმ ხაიშელების სრული სია მოაწოდეს, რომლებმაც კომპენსაციები ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, რუსული მანეთით მიიღეს: ფილფანი კოტე ვალიკოს ძე — 14 111; ჭკადუა ვალერი ემუზას ძე — 19 641; ჭკადუა ნატაშა ემუზას ასული — 38 468; ჭკადუა კესო გაბრიელის ასული — 25 011; ჭკადუა რობინზონი ბიძინას ძე — 21 275; ჭკადუა ბავჩი ალექსის ძე — 39 509; ჭკადუა ლატო კაპიტონის ძე — 41 568; კვანჭიანი პიმენ სეითბეს ძე — 30 624; დავითიანი მიხეილ გრიგოლის ძე — 29 380; დავითიანი იაკობ გროგოლის ძე — 37 930; ჭკადუა ქეთო კოსტას ასული — 11 001; ჟორჟოლიანი ნინა ნესტორის ასული — 38 728; დავითიანი არსენა იონას ძე — 24 186; ფილფანი როინი ვალიკოს ძე — 25 430; ჭკადუა მურმან ანგიას ძე — 34 184; ჭკადუა ვალიდა სოკრატეს ასული — 22 582; ჭკადუა გიორგი გრიგოლის ძე — 15 432; ჭკადუა ნინუცა ბესარიონის ასული — 7 502; ფილფანი ტრისტან ვალიკოს ძე — 42 844; კვიციანი უკლება ალის ასული — 33 406; დავითიანი მარო გრიგოლის ასული — 29 832; დავითიანი ქალდაფხ კაბუს ასული — 26 212; დავითიანი კუკუ სორეხის ასული — 24 984; ჭკადუა ნესტორ სოვლახის ძე — 14 066; ჭკადუა ნინა ნესტორის ასული — 19 461; ჭკადუა ვენია ნამასის ასული — 4 481; თორია ანიჩკა ისმაილის ასული — 25 720; ჭკადუა ლიდა კოსტას ასული — 5 768; ფილფანი გრიშა ვალიკოს ძე — 42 734; ჭკადუა ერემო პირიბეს ძე — 21 076; ჭკადუა თეიმურაზ სუმას ძე — 23 754; ჭკადუა პაშა მიხეილის ასული — 22 449; ჭკადუა ტრისტან მიხეილის ძე — 15 747; გურჩიანი იზოლდა სოლომონის ასული — 48 130; კვანჭიანი ზაქრო სუითბეის ძე — 11 167; ჭკადუა პეტრე კაბეს ძე — 25 980; ფიფია ნინელი კუკურის ასული — (ჭკადუა ჟორჟი ნიკოლოზის ძე) — 14 996; ჭკადუა ნუგზარ ზოსიმეს ძე — 6 252; გულედანი იონა ილიას ძე — 15 097; ჟორჟოლიანი ელოდია ხოსეს ასული — 3 825; სუბელიანი ირა მიხეილის ასული — 7 935; ჭკადუა ლენა ფეზის ასული — 3 396; ჭკადუა ტაცი კერეკის ასული — 2 873; ჭკადუა ვალერი შალიკოს ძე (ჭკადუა მატრონა ალექსის ასული) — 14 948; ჩილაჩავა ტრისტან შოთას ძე — 20 563; ჭკადუა დანიელ ისმაილის ძე — 16 260; ჭკადუა აქვსენტი ბაკას ძე — 20 563; ჭკადუა ვანო ნესტორის ძე — 23 194; ჭკადუა დუშა ნესტორის ასული — 14 439; ჭკადუა იზოლდა ამბროსის ასული — 6 794; ჭკადუა სულიკო ტარიელის ასული — 20 272; ჭკადუა ოლგა კაბეს ასული — 7 041; ჭკადუა ამბაკო თედორეს ძე — 7 846; ნიჟარაძე მურმან დავითის ძე — 9 713; ცინდელიანი კატუშა არეთას ასული — 23 685; დავითიანი თინა სორეხის ასული — 30 568; ჭკადუა თამაზი გიოს ძე — 30 634; ჭკადუა მიხეილ ხაჯის ძე — 34 405; დავითიანი იასონ ქექვის ძე — 9 597; ჭკადუა სერგო ანგიას ძე — 4 190; ჭკადუა ანტისა ნესტორის ასული — 25 580; ქალდიანი რეზო ლეონტის ძე — 30 002; ჭკადუა მარო ბათურის ასული — 7 551; ჭკადუა ვალერი იონას ძე — 5 572; თორია შოთა შოთას ძე — 11 278; ჭკადუა ანეტა კაპიტონის ასული — 2 430; ჭკადუა ჯონი მუშნის ძე — 20 693; ჭკადუა ზოია კოწიას ასული — 2 072; ჭკადუა კატია ანთიმოზის ასული — 23 062; ჭკადუა ნუგზარ დიმიტრის ძე — 8 225; ჭკადუა ცაცუ შარმეტეის ასული — 21 587; ცალანი ბაბუცა დავითის ასული — 34 449; ჭკადუა ლენა მიხეილის ასული — 15 406; ჭკადუა ვარლამ გრიგორის ძე — 33 646; თორია კატუშა მაკუს ასული — 10 746; ჭკადუა ნათელა ვარლამის ასული — 4 551; ჭკადუა გრიგოლ ვარლამის ძე — 6 727; ჭკადუა თამარა დიმიტრის ასული — 22 710; სოხაძე მარო ალექსის ასული — 13 151; კვანჭიანი ვერა სულას ასული — 22 411; დევდარიანი ხადუ იოსების ასული — 1 204; მიშჩენკო თამარა პავლეს ასული — 3 243; ჭკადუა დარიკო სამსონის ასული — 24 910; კვიციანი სუმლარ სამსონის ძე — 35 492; ჭკადუა ვალოდია რომანის ძე — 33 976; ჭკადუა რაფიელ ემუზას ძე — 30 984; ზურებიანი ცარუ ნარიმანის ასული — 27 252; ნიჟარაძე დავითი ნიკოლოზის ძე — 30 012; ჭკადუა შაქრო გაიოზის ძე — 42 941; დავითიანი თემური ალექსანდრეს ძე — 25 345; ჭკადუა სიმონ ემუზას ძე — 17 874; ჭკადუა სერიოჟა სიმონის ძე — 16 370; ჭკადუა მარიამ გაუს ასული — 16 891; ჭკადუა ნუგზარ სიმონის ძე — 17 893; ფილფანი აგრეტ გაბრიელის ძე — 29 594; ჭკადუა ნაზია ტარიელის ასული — 11 712; ჭკადუა თამარი ნესტორის ასული — 11 627; დავითიანი ამბროსი სამსონის ძე — 27 963; ჭკადუა თეიმურაზ მამუს ძე — 18 969; ჭკადუა სონია გიორგის ასული — 29 330; ჭკადუა ჯუმბერ დომენტის ძე — 27 969; ჭკადუა ზაირა დომენტის ასული — 12 304; ცინდელიანი ეთერი არეთას ასული — 8 957; დავითიანი როენა რაიზანის ასული — 20 457; გულედანი ვერა ბუბას ასული — 17 001; ჭკადუა გივი აძას ასული — 37 255; ჭკადუა შაქრო რომანის ძე — 31 193; დავითიანი ტასო ბაკას ასული — 23 501; ჭკადუა შმაგი ივანეს ძე — 23 084; ჭკადუა ანეტა ონოფრეს ასული — 12 604; ჭკადუა რუბენ არდევანის ძე — 19 209; ჭკადუა ნოდარ ივლიანეს ძე — 11 872; ჭკადუა ოთარი ივლიანეს ძე — 14 695; ჭკადუა ვანო ხაჯის ძე — 21 032; ჭკადუა დიმიტრი ბაკას ძე — 13 642; ჭკადუა კარლო თეიმურაზის ძე — 26 445; ცინდელიანი ნანა ნესტორის ასული 19830; ცინდელიანი ავთანდილ შალვას ძე 38 031; ჭკადუა გურგენ არდევანის ძე — 22 775; ჭკადუა დუშა გუნიერის ძე — 32 659; ჭკადუა ნოდარ ბავჩის ძე — 40 983; ჭკადუა დოურხან ტაბის ასული — 15 698; თორია გოჩა ჯოტოს ძე — 27 495; ჭკადუა დათიკო ნარიკის ძე — 30 021; ჭკადუა პოლი ინდიკოს ასული — 21 194; ჭკადუა ბიქტორ პავლეს ძე — 20 337; ჭკადუა ნიკოლოზ ვიცბის ძე — 36 655; ჭკადუა პელია ემუზას ასული — 24 375; გულედანი ნიკოლოზ დომენტის ძე — 30 823.

*მაია მიშელაძე*

# „ხადური ვჭამოთ?“



ანი ბეშიტაიშვილი
5-97-39-99-42

**ექსპერტების ვარაუდით, ლარის გაუფასურება, ავტომატურად, საკვებ და პირველადი მოხმარების სხვა პროდუქტსაც გააძვირებს, რაც ისედაც მშიერმუცელა მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვება. რას ფიქრობს ხალხი ლარის კურსის დაცემაზე? — ამ თემაზე „ვერსიამ“ ქუჩის გამოკითხვა ჩაატარა.**

**ლია, 67 წლის, მწვანილის გამყიდველი:** „სამედიცინო მაქვს დამთავრებული, მაგრამ წლებია, „მარჯანიშვილის“ მეტროსთან ვზივარ და მწვანილებს ვყიდი. ოთხსულიანი ოჯახი მაქვს, მაგრამ ჩემს მეტი არავინ მუშაობს... დღეში, მაქსიმუმ, 8-10 ლარის მწვანილს ვყიდი და ამ ფულით თავი ძლივს გაგვაქვს. ახლა კი უარეს მდგომარეობაში ვართ — ლარი დაეცა და კარტოფილი 2 ლარი გახდა... არ ვიცი, რა გვეშველება... ისე, ამ ღარიბაშვილმაც რა ქნას, სააკაშვილმა ასეთი მემკვიდრეობა დაუტოვა...“

**გუჯა, 47 წლის, დასუფთავების სამსახურის თანამშრომელი:** „მე რას მეკითხებით, რა, თქვენ არ იცით, ლარის გაუფასურება ხალხს კარგს რომ არაფერს მოუტანს?“

**ნატო, 33 წლის, დიასახლისი:** „ლარის კურსის დაცემა პირადად მე, ჯერ არ მიგრძნია, რადგან ჩემი ქმარი კარგ სამსახურში მუშაობს და ხელფასიც კარგი აქვს...“

**მამუკა, 38 წლის, უმუშევარი:** „მართალია, ლარი დავარდა, მაგრამ არა უშავს, რა, შევარდნაძის დროს უკეთესი ვითარება იყო? ყველაფერი კარგად იქნება!“

**ლალი, 27 წლის, სამი შვილის დედა:** „ვაიმე, მიშას დრო მალე სანატრელი გაგვიხდება, აი, „ქოცები“ რას აკეთებენ, ხომ ხედავთ? — გააძვირეს ყველაფერი!“

**თეკლა, 19 წლის, სტუდენტი:** „ხაჭაპური უკვე 10 თეთრით გაძვირდა... მთავარია, ლარის დაცემის გამო, მგზავრობაც არ გააძვირონ, თორემ სასწავლებელში ვეღარ ვივლი“.

**გიორგი, 38 წლის, ინჟინერი:** „ბანკიდან სესხი დოლარში მაქვს აღებული, ხელფასი კი ლარში მერიცხება და აღარ ვიცი, რა ვქნა — თუ სესხს ვერ დავფარავ, ბანკმა შეიძლება, სახლი გამიყიდოს და ცოლ-შვილთან ერთად ქუჩაში დავრჩე...“

**ლექსო, 25 წლის, უმუშევარი:** „ხადური ვჭამოთ?!“

**დიმა, 74 წლის, პენსიონერი:** „პროდუქტი გაძვირდა და პენსიების გაზრდას რა აზრი ჰქონდა? ბიძინა კი არა, მგონი, ღმერთიც ვერ გვიშველის!“

**კოტე, 47 წლის, მექანიკოსი:** „მთავრობის წევრები ამბობენ, პანიკის საფუძველი არ არისო. სინამდვილეში, პანიკის საფუძველი მაგათ ჯიბეებს არ აქვს, თორემ აბა, ერთი, მე მკითხონ...“



## პატიმრებს წიწაკის გაზით და დამაწყნარებელი სკამით დასჯიან

საპატიმრო დაწესებულებებში, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რამდენიმე ახალი სპეციალური საშუალების გამოყენება ხდება დასაშვები. დღეისთვის, ბრალდებულისა თუ მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა თუ ქონების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, მის მიმართ ხელბორკილის ან დამაწყნარებელი პერანგის გამოყენებაა დასაშვები.

პარლამენტს უკვე წარედგინა პატიმრობის კოდექსში“ შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი, რომლის მიხედვით, ხელბორკილისა და დამაწყნარებელი პერანგის გარდა, პატიმრის მიმართ დასაშვები ხდება, ისეთი ტიპის სპეციალური საშუალებების გამოყენება, როგორიცაა: დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, წყალსატყორცნი და სასამსახურო ძაღლი.

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ მოამზადა. პარლამენტში წარდგენილი პროექტის თანახმად, მთლიანად გადაიხედა ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებთან დაკავშირებული საკითხები, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დადგენილი წესები. მთელი რიგი მიმართულებით პატიმართა სასარგებლოდ იცვლება მათი უფლებრივი მდგომარეობა და პირობები. სისტემაში დაგეგმილი ცვლილებები უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებსაც შეეხება.

პროექტის მიხედვით, „პატიმრობის კოდექსში“ განისაზღვრება, რა გარემოებების არსებობისას, რა სახის სპეციალური საშუალება უნდა იყოს გამოყენებული და რა წესების დაცვით.

მაგალითად, ხელბორკილი გამოყენებულ უნდა იქნას საშიში ქმედების ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც წინააღმდეგობას წევს ან ცდილობს გაქცევას გაყვანა-გადაყვანისას. ხელბორკილის გამოყენება მაშინაც მოხდება, თუ პირს თავისი ქმედებით, შეუძლია, საკუთარ თავს ან სხვას მიაყენოს ზიანი.

დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი და დამაწყნარებელი საწოლი ისეთი ქმედების ჩამდენი პირის მიმართ იქნება გამოყენებული, რომელიც წინააღმდეგობას წევს ან გამოხატავს აგრესიას, თუ თავისი ქმედებით შეუძლია ზიანი მიაყენოს საკუთარ თავს ან სხვას. აღნიშნული სპეციალური საშუალებების გამოყენება ექიმის მეთვალყურეობით მოხდება.

რეზინის ხელკეტი და წიწაკის გაზი პატიმრის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, დაწესებულებაში დანაშაულისა და სამართალდარღვევათა აღკვეთის, თავდასხმის მოგერიების, დაუმორჩილებლობის ან სხვა მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით გამოიყენება.

კანონპროექტის მიხედვით, ცრემლსადენი გაზი, აკუსტიკური საშუალება და არალეტალური იარაღი ბრალდებულისა და მსჯავრდებულის მიერ გარშემომყოფთა მიმართ, დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად, მასობრივი არეულობის ან ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად გამოიყენება.

პროექტში ასევე გაწერილია ის შემთხვევები, როდესაც ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობის, წყალსატყორცნი საშუალებების და სასამსახურო ძაღლის გამოყენება უნდა მოხდეს.

კანონპროექტში ნათქვამია, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებები არაეფექტურია.

სპეციალური საშუალების გამოყენება წარმოქმნილი საფრთხის პროპორციული უნდა იყოს.

*„ინტერპრესნიუსი“*

### ვერსიანიუსი

## აშშ-ში რუსეთის მოქალაქე დააკავეს



პენსილვანიის ქალაქ ალტუნაში, ბომბის შენახვის გამო, რუსეთის 19 წლის მოქალაქე, ვლადისლავ მიფტახანოვი დააკავეს. პოლიციამ მის საცხოვრებელში ჩხრეკა კოკაინის პოვნის მიზნით ჩაატარა და, შემთხვევით, ასაფეთქებელ მოწყობილობასა და მისი შექმნისთვის აუცილებელ კომპონენტებს გადააწყდა. მიფტახანოვი პენსილვანიის უნივერსიტეტის ალტუნას ფილიალის სტუდენტია. დადგინდა, რომ მან ინტერნეტის მეშვეობით შეიძინა ბომბის შექმნისთვის აუცილებელი კომპონენტები.

პოლიცია არ აკონკრეტებს, რა მიზნისთვის სჭირდებოდა რუსეთის მოქალაქეს ბომბი.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## რუსეთში სექსი აიკრძალა?!




რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში კანონპროექტი შეიტანეს, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი სექსუალური ურთიერთობის პროპაგანდა იკრძალება.

კანონპროექტის თანახმად, სათათბირო ორგანოს დეპუტატებმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 6,21 მუხლში ცვლილებების შეტანა შესთავაზეს, რის მიხედვითაც, ამავე მუხლში ტერმინი „არატრადიციული“ შეიცვლება სიტყვით — „ნებისმიერი სექსუალური ურთიერთობა“.

შესაბამისად, სამართალდარღვევათა კოდექსში „არატრადიციული სექსუალური ურთიერთობები“ აღარ იარსებებს. აღნიშნული შესწორებები შევა კანონში „ბავშვთა უფლებების მთავარ გარანტიებში“.

კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი, სკანდალურად ცნობილი დეპუტატი ელენა მიზულინაა, რომლის ინიციატივითაც, თავის დროზე, აიკრძალა „არატრადიციული ორიენტაციის“ პროპაგანდა. კანონპროექტის ავტორების აზრით, ზემოხსენებული ცვლილებები აუცილებელია, რათა თავიდან იქნეს აცილებული პრობლემები, რომელიც მოზარდების სექსუალურ აქტივობას სდევს. მათივე აზრით, არასწორი პროპაგანდა მოზარდებს ადრეულ ასაკში სექსუალური ცხოვრებისკენ უბიძგებს.

კანონპროექტის თანახმად, ორგანიზაცია რომელიც კანონს დაარღვევს, 40,000- დან 50,000 რუბლამდე დაჯარიმდება. კერძო პირი კი 4,00-დან 5,000 რუბლამდე. დარღვევის გამეორების შემთხვევაში, ჯარიმის რაოდენობა ოთხმაგდება.

აღნიშნულ ინიციატივას საერთაშორისო მედიაც გამოეხმაურა რადიო „თავისუფლებამ“ გამოაქვეყნა სტატია — „რუსეთში სექსს საერთოდ კრძალავენ“.

*„ექსპრესნიუსის“*

## საქართველოში ყველაზე დიდი მოთხოვნა მენეჯერებზეა



„ილიაუნი ბიზნეს რევიუს“ კვლევის მიხედვით, საქართველოში 10 ყველაზე მოთხოვნად პროფესიას შორის პირველ სამეულში მენეჯერი, სამედიცინო პერსონალი და სავაჭრო კონსულტანტი შედის.

მეოთხე ადგილზე მოლარე-ოპერატორია, შემდეგ ადგილს იკავებს — მიმტანი, შეფ-მზარეული და ავტომექანიკოსი, მერვე ადგილზეა დამლაგებელი, რომელსაც მოჰყვება ბუღალტერი, ბოლო ადგილზეა ასისტენტი.

*bpn.ge*

# მთავრობა გმო პროდუქტის მარკირების წინააღმდეგია?!



**წესით და რიგით, გენმოდიფიცირებული პროდუქციის მარკირების შესახებ კანონპროექტი პარლამენტმა 2014 წლის საგაზაფხულო სესიაზე უნდა განიხილოს, მაგრამ, მოულოდნელად, პარლამენტსა და მთავრობას შორის თავი დაპირისპირებამ იჩინა — ეკონომიკის სამინისტრო მარკირების იდეას არ იწონებს, საკანონმდებლო ორგანოში კი მთავრობის არგუმენტები უსუსურად მიაჩნიათ.**

როგორც პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე აცხადებს, მთავრობამ გენმოდიფიცირებული თესლის დათესვის აკრძალვის საკითხი მოიწონა, რაც შეეხება გენმოდიფიცირებული პროდუქტის მარკირებას, ეკონომიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროებს შორის, ადმინისტრირების საკითხთან დაკავშირებით, დიალოგი მიმდინარეობს. გია გაჩეჩილაძის განცხადებით, მარკირება მხოლოდ ცოცხალ გენმოდიფიცირებულ პროდუქტს შეეხება და არა გადამუშავებულს, თუმცა იმას, რაც პარლამენტსა და მთავრობას შორის გმო პროდუქტთან დაკავშირებით ხდება, დიალოგი აღარ ჰქვია — ეს უკვე დაპირისპირების საკითხია. მაგალითად, გენმოდიფიცირებული ნაწარმის სავალდებულო მარკირების საკითხთან დაკავშირებით, პარლამენტი ეკონომიკის სამინისტროს არგუმენტის გათვალისწინებას არ აპირებს,

კანონპროექტი კი პარლამენტში ჯერ არ შესულა. როგორც გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე აცხადებს, ეკონომიკის სამინისტრო საკითხს აჭიანურებს და საწინააღმდეგო არგუმენტად იმპორტისათვის პრობლემების შექმნასა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპებთან შეუსაბამობას ასახელებს.

გია გაჩეჩილაძეს ასეთი დამოკიდებულება არ მოსწონს და კვირიკაშვილის უწყების წამოყენებულ მოსაზრებას არ იზიარებს. მისი თქმით, ქვეყანაში გენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოება მაინც აიკრძალება, ხოლო იმპორტირებულ პროდუქციას სავალდებულო მარკირების პროცედურის გავლა მოუწევს, რაც 2009 წელს გამოცემული ბრძანებულების მიუხედავად, არ სრულდებოდა.

გაჩეჩილაძის თქმითვე, ეკონომიკის სამინისტროს არგუმენტები სუსტია, ამიტომ გადაწყვეტილების მიღება პარლამენტზეა დამოკიდებული. პარლამენტში კანონპროექტი, შესაძლოა, საგაზაფხულო სესიაზე განიხილონ.

დაპირისპირების გაჩენა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია, რადგან საქართველოს მთავრობამ „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ" კანონპროექტი მოიწონა. კანონპროექტის მოქმედების სფერო მხოლოდ გენმოდიფირებულ სათესლე მასალასა და ნერგებზე ვრცელდება. თითქოს თანხვედრი პოზიცია უნდა ყოფილიყო პროდუქციის სავალდებულო მარკირებასთან დაკავშირებითაც.

როგორც გარემოს დაცვის სამინისტროში აცხადებენ, გენმოდიფიცირებული ორგანიზმებიდან წარმოებული სათესლე და სანერგე მასალის ბრუნვა მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება, საქართველოში კი ამ სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა დღემდე არ არსებობს.

**„კანონპროექტის მიხედვით, ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებას სჭირდება საქმიანობის ლიცენზია, ხოლო გარემოში ინტროდუქცია (ეკოსისტემაში განსხვავებული სახეობის შეტანა) იკრძალება",** — აღნიშნავენ უწყებაში.

როგორც ცნობილია, 2008 წელს საქართველო შეუერთდა „ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენის ოქმს", რის შედეგადაც აიღო გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სათანადო მარეგულირებელი სამართლებრივი მექანიზმების შექმნის ვალდებულება.

*„ფორ.გე"*

ვერსიანიუსი

## საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტი 72%-ით გაიზარდა



2013 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 879 000 000 დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 3%-ით მეტია. აქედან ექსპორტი 72%-ით გაიზარდა 608 მილიონ დოლარამდე, ხოლო იმპორტი - 7%-ით, 2 მილიარდ 271 მილიონ დოლარამდე. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დასავლეთ ევროპული ქვეყნების წილმა 27 პროცენტი შეადგინა, მათ შორის, ექსპორტში — 21%, იმპორტში კი — 29%. ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 33%, თუმცა, 2012 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 5%-ით გაუმჯობესდა. რაც შეეხება დსთ-ს, ამ ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2013 წელს 17%-ით მოიმატა და 3 მილიარდ 787 მილიონ დოლარს მიაღწია. აქედან, ექსპორტი 30%-ით გაიზარდა და 1 მილიარდ 621 მილიონი დოლარით განისაზღვრა, ხოლო იმპორტმა 8%-ით მოიმატა, 2 მილიარდ -166 მილიონ დოლარამდე. სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ს ქვეყნების წილი 35% იყო, მათ შორის, ექსპორტში - 56% იმპორტში კი - 28%. 2013 წელს დსთ-ს ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 11% და ეს მაჩვენებელი 2012 წელთან შედარებით, 3%-ით გაუმჯობესდა. რაც შეეხება ცალკეულ ქვეყნებს, უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა სამეულში კვლავ თურქეთი (1 მილიარდ 529 მილიონი აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (1 მილიარდ 348 მილიონი დოლარი) და უკრაინა (795 მილიონი დოლარი) შედის. მეოთხე ადგილზე რუსეთი დაწინაურდა (589 მილიონი დოლარი), მეხუთეზე კი ჩინეთია (564 მილიონი დოლარი). ყველაზე დიდი მოცულობით (საერთო ექსპორტის 24,4%) ქართული პროდუქცია აზერბაიჯანში გადის, რომლის ღირებულებამ 710 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 11,7%-ით მეტია. მას მოსდევს სომხეთი (10,9%), სადაც რეალიზებულმა პროდუქციამ 17,3%-ით მოიმატა, 316 მილიონ დოლარამდე, 13,4%-იანი ზრდა დაფიქსირდა უკრაინის მიმართულებით (193 მილიონი დოლარი), რუსეთში კი 4-ჯერ გაიზარდა და 190 მილიონ დოლარს მიაღწია. მათ მცირედ ჩამორჩებათ თურქეთი, სადაც ექსპორტმა 22%-ით მოიმატა, (183 მილიონ დოლარამდე, რაც შეეხება იმპორტს, ამ მხრივ, 1 მილიარდ 346 მილიონი დოლარით, უპირობო ლიდერი თურქეთია, თუმცა, წინა წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 3,5%-ით შემცირდა და საერთო მოცულობაში 17,1% შეადგინა. თითქმის იმავე მოცულობით (638 მილიონი დოლარი) პროდუქცია შემოდის აზერბაიჯანიდან (საერთო ღირებულების 8,1%), მესამე ადგილზე კი, 602 მილიონი დოლარით, უკრაინაა (7,6%). 20%-ით მოიმატა იმპორტმა რუსეთიდან და 589 მილიონი დოლარი შეადგინა, ჩინეთიდან კი — თითქმის უცვლელია (564 მილიონი დოლარი).

**bpn.ge**



## ტრაგედია მუხრანში — მამაკაცმა ოჯახის წევრები დახოცა

მუხრანში, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა მამაკაცმა ოჯახის წევრები დახოცა. სამართალდამცველებმა 1960 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიორგი ო. განზრახ მკვლელობის ბრალდებით, მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე, ურთიერთშელაპარაკებისას, სანადირო თოფიდან გასროლით, დაჭრა მეუღლე, შვილი და რძალი. მეუღლე – 1966 წელს დაბადებული ხარულა კ. მიყენებული ჭრილობის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა, რძალი – 1992 წელს დაბადებული ეკა ტ. საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა, ხოლო დაჭრილი შვილი – 1987 წელს დაბადებული შალვა ო. საავადმყოფოში მოათავსეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. შსს-ს ცნობით, დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსსკ-ს 109-ე მუხლით.

*„ინტერპრესნიუსი"*

## თბილისში აფეთქება მოხდა

თბილისში, ლორთქიფანიძის ქუჩის (ყოფილი კაიროს ქუჩა) 42-ში აფეთქება მოხდა. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ცნობით, აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა და აფეთქებას არც ნგრევა მოჰყოლია.

შემთხვევა ღამით, 00:20 საათზე მიტოვებულ შენობაში მოხდა. ადგილზე გასულები იყვნენ სახანძრო და სამაშველო ბრიგადები, თუმცა აფეთქებას ხანძარი არ მოჰყოლია. შსს-ს ცნობით, ლორთქიფანიძის ქუჩაზე მომხდარ აფეთქებაზე გამოძიება სხვისი ნივთის დაზიანების ბრალდებით მიმდინარეობს. საქმე 187-ე მუხლითაა აღძრული.

*„ინტერპრესნიუსი"*



## პოლიციამ ქურდობის ფაქტი გახსნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მეშვიდე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ირაკლი გ. და 1995 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიორგი მ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 2014 წლის 23 იანვარს, გამთენიისას, თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, თურქულ რესტორან „სელსებილსა" და მის გვერდით მდებარე ავტოსარემონტო სახელოსნოში ფარულად შეაღწიეს, სხვადასხვა ნივთებს მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა თბილისსა და საგარეჯოში ერთდროულად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, ირაკლი გ. თბილისში, აეროდრომის დასახლებაში, ხოლო გიორგი მ. საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში დააკავეს.

დაკავებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას სამართალდამცველებმა ნაქურდალი ნივთები: პორტატული კომპიუტერი, კომპიუტერის დინამიკები, ტოსტერი, დანების სალესი დანადგარი და ავტომანქანის ნაწილები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით და მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით).

*„ჯი-ეჩ-ენი"*

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | 4 | | 3 | 7 | | | 9 |
| | 9 | 1 | | | | | | |
| | | | | 9 | 4 | | 5 | |
| 7 | 8 | | | | | | 4 | |
| | | 3 | | | | 9 | | |
| | 1 | | | | | | 6 | 5 |
| | 2 | | 6 | 7 | | | | |
| | | | | | | 1 | 8 | |
| 4 | | | 5 | 1 | | 6 | | 2 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | 7 | | | | 3 | |
| | 4 | | | | | | 1 | |
| 3 | 1 | | 4 | | | | | 7 |
| | | | | 4 | | 2 | | 8 |
| | | 8 | 6 | 3 | 5 | 1 | | |
| 4 | | 1 | | 2 | | | | |
| 5 | | | | | 9 | | 4 | 6 |
| | 7 | | | | | | 5 | |
| | 6 | | | | 4 | | | 1 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 1 | | 7 | | | 5 | 3 | |
| 7 | | | | | | | | 9 |
| | | 2 | 1 | | | | 7 | |
| | | 4 | 3 | | 8 | | | 1 |
| | | | | 9 | | | | |
| 6 | | | 4 | | 7 | 3 | | |
| | 8 | | | | 6 | 1 | | |
| 2 | | | | | | | | 4 |
| | 4 | 6 | | | 2 | | 8 | 7 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | | | 7 | | | |
| | | 2 | | | 8 | 9 | | 5 |
| | | 5 | 3 | 1 | | | | |
| | | 3 | | | | | 8 | |
| 8 | | | | 7 | | | | 3 |
| | 9 | | | | | 5 | | |
| | | | | 2 | 5 | 6 | | |
| 3 | | 8 | 4 | | | 2 | | |
| | | | 9 | | | | | 7 |



## მაღალ წნევას ერბოკვერცხი შველის

ერბოკვერცხი არამხოლოდ გემრიელია, არამედ სასარგებლოცაა იმ ადამიანებისთვის, ვისაც ჰიპერტონია აწუხებს — ეს კერძი თურმე წნევას არეგულირებს და შესაძლოა, შეუცვლელ საკვებადაც მივიჩნიოთ, — ეს მოსაზრება კანადელ ექსპერტებსა და მათ ჩინელ კოლეგებს ეკუთვნის, რომლებიც აღნიშნავენ, რომ საკვებში ყველაზე ღირებული კვერცხის ცილაა — სწორედ ის ხასიათდება ჰიპერტონიის საწინააღმდეგო თვისებებით, რადგან შეიცავს პეპტიდს, ეს უკანასკნელი კი ისევე ეფექტურად ებრძვის სისხლის წნევას, როგორც წამლები. ალბერტას უნივერსიტეტის სპეციალისტებმა გაარკვიეს, რომ თერმული დამუშავებისას ცილა არ კარგავს სასარგებლო თვისებებს, ხოლო შემწვარი კვერცხის ცილა უფრო ეფექტურად აგდებს წნევას, ვიდრე მოხარშულის. მკვლევარების თქმით, ერბოკვერცხის მირთმევისას კუჭის ფერმენტებთან ურთიერთქმედებს და გამომუშავდება განსაკუთრებული ნივთიერება, რომელიც წნევის დამწევი პრეპარატების მსგავსად მოქმედებს.



## შაქარი თამბაქოსავით მავნებელია



კომპანიებს, რომლებიც საკვებ პროდუქტსა და ტკბილეულს აწარმოებენ, ლივერპულის უნივერსიტეტის სწავლულები მოუწოდებენ, შაქრის რაოდენობა მაქსიმალურად შეამცირონ, რადგან დიდი დოზით ტკბილეულის მიღება ჯანმრთელობისთვის სახიფათოა. მეცნიერების განცხადებით, ნულპროცენტიანი იოგურტიც კი 5 კოვზ შაქარს შეიცავს. შაქარი თამბაქოსავითაა, ყველგან შაქრიანი სასმელი და პროდუქტი იყიდება და ამიტომაც სახელდება მსოფლიოში ნომერპირველ პრობლემად ჭარბი წონა. ადრე სიმსუქნე მხოლოდ შუახნის ადამიანებს თუ აწუხებდათ, ახლა ყოველი მესამე ახალგაზრდა მას არაფრისმომცემი დიეტებით ებრძვის, იმატა დიაბეტით დაავადებულთა რიცხვმაც. წყლის გარდა, ნებისმიერი სხვა სასმელი შაქარს შეიცავს, ეს კი დიაბეტის, სიმსუქნისა და გულის დაავადებების განვითარების რისკს ზრდის.

## უყიდეთ ბიჭებს თოჯინები



ბიჭები, მანქანების ნაცვლად, უპირატესობას თოჯინებს ანიჭებენ, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ დასავლეთ სიდნეის უნივერსიტეტის მკვლევარები, რადგან ბავშვებს ადამიანების მსგავსი ობიექტები იზიდავს და არა უსულო მანქანები. სწავლულები ოთხი-ხუთი თვის პატარებს უჩვენებდნენ ქალების, კაცების, ავტომობილებისა და თოჯინების ფოტოებს. აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდხანს ბავშვები, ბიჭებიცა და გოგოებიც, თოჯინების ფოტოებით ინტერესდებოდნენ. აღმოჩნდა, რომ ე.წ. გენდერული გადამრთველი, რომელიც ბავშვებს ბიჭებად და გოგოებად ჰყოფს, არც მუცლადყოფნისას და არც ჩვილის დაბადებისას, არამედ გაცილებით გვიან მუშავდება. ახლა ფსიქოლოგები იმის გარკვევას შეეცდებიან, რა ასაკიდან ხდება ფსიქოლოგიური დაყოფა სქესობრივი ნიშნით და ახდენს თუ არა ამაზე გავლენას ბავშვის აღზრდა.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 5 | 8 | 9 | 3 | 1 | 7 | 6 | 4 |
| 7 | 6 | 4 | 2 | 8 | 5 | 3 | 1 | 9 |
| 3 | 1 | 9 | 6 | 7 | 4 | 5 | 2 | 8 |
| 1 | 4 | 2 | 8 | 5 | 3 | 9 | 7 | 6 |
| 9 | 8 | 7 | 4 | 2 | 6 | 1 | 5 | 3 |
| 6 | 3 | 5 | 1 | 9 | 7 | 8 | 4 | 2 |
| 8 | 9 | 1 | 5 | 6 | 2 | 4 | 3 | 7 |
| 5 | 7 | 6 | 3 | 4 | 9 | 2 | 8 | 1 |
| 4 | 2 | 3 | 7 | 1 | 8 | 6 | 9 | 5 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 4 | 9 | 5 | 3 | 7 | 2 | 1 |
| 7 | 3 | 2 | 1 | 6 | 8 | 9 | 5 | 4 |
| 1 | 9 | 5 | 2 | 4 | 7 | 6 | 8 | 3 |
| 5 | 7 | 3 | 8 | 9 | 6 | 4 | 1 | 2 |
| 2 | 1 | 9 | 7 | 3 | 4 | 8 | 6 | 5 |
| 4 | 6 | 8 | 5 | 2 | 1 | 3 | 7 | 9 |
| 3 | 5 | 6 | 4 | 8 | 2 | 1 | 9 | 7 |
| 9 | 4 | 7 | 6 | 1 | 5 | 2 | 3 | 8 |
| 8 | 2 | 1 | 3 | 7 | 9 | 5 | 4 | 6 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 8 | 3 | 6 | 5 | 9 | 2 | 1 |
| 3 | 1 | 5 | 4 | 2 | 9 | 7 | 8 | 6 |
| 9 | 6 | 2 | 8 | 1 | 7 | 5 | 4 | 3 |
| 5 | 9 | 3 | 7 | 4 | 2 | 6 | 1 | 8 |
| 6 | 8 | 4 | 1 | 5 | 3 | 2 | 9 | 7 |
| 2 | 7 | 1 | 9 | 8 | 6 | 4 | 3 | 5 |
| 1 | 5 | 9 | 2 | 7 | 8 | 3 | 6 | 4 |
| 4 | 3 | 7 | 6 | 9 | 1 | 8 | 5 | 2 |
| 8 | 2 | 6 | 5 | 3 | 4 | 1 | 7 | 9 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 3 | 9 | 1 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 1 | 6 | 5 | 9 | 4 | 3 | 2 | 8 | 7 |
| 8 | 7 | 4 | 6 | 2 | 5 | 1 | 3 | 9 |
| 5 | 9 | 1 | 2 | 7 | 8 | 4 | 6 | 3 |
| 3 | 4 | 7 | 5 | 6 | 1 | 9 | 2 | 8 |
| 6 | 2 | 8 | 4 | 3 | 9 | 7 | 1 | 5 |
| 7 | 5 | 6 | 8 | 1 | 4 | 3 | 9 | 2 |
| 9 | 1 | 3 | 7 | 5 | 2 | 8 | 4 | 6 |
| 4 | 8 | 2 | 3 | 9 | 6 | 5 | 7 | 1 |

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 1 | 6 | 7 | 9 | 8 | 5 | 4 |
| 9 | 8 | 5 | 4 | 3 | 2 | 7 | 1 | 6 |
| 6 | 7 | 4 | 5 | 1 | 8 | 3 | 2 | 9 |
| 5 | 4 | 3 | 2 | 6 | 7 | 1 | 9 | 8 |
| 8 | 1 | 2 | 3 | 9 | 4 | 6 | 7 | 5 |
| 7 | 9 | 6 | 8 | 5 | 1 | 2 | 4 | 3 |
| 2 | 6 | 9 | 7 | 8 | 5 | 4 | 3 | 1 |
| 4 | 5 | 8 | 1 | 2 | 3 | 9 | 6 | 7 |
| 1 | 3 | 7 | 9 | 4 | 6 | 5 | 8 | 2 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 6 | 1 | 9 | 4 | 3 | 8 | 5 |
| 5 | 4 | 1 | 6 | 8 | 3 | 9 | 7 | 2 |
| 9 | 3 | 8 | 5 | 7 | 2 | 6 | 4 | 1 |
| 7 | 9 | 3 | 8 | 6 | 1 | 5 | 2 | 4 |
| 1 | 2 | 5 | 9 | 4 | 7 | 8 | 3 | 6 |
| 6 | 8 | 4 | 3 | 2 | 5 | 7 | 1 | 9 |
| 8 | 1 | 2 | 7 | 5 | 9 | 4 | 6 | 3 |
| 4 | 6 | 9 | 2 | 3 | 8 | 1 | 5 | 7 |
| 3 | 5 | 7 | 4 | 1 | 6 | 2 | 9 | 8 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 5 | 6 | 2 | 4 | 3 | 9 | 1 |
| 4 | 2 | 3 | 1 | 5 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 1 | 9 | 6 | 3 | 8 | 7 | 2 | 5 | 4 |
| 7 | 8 | 4 | 2 | 3 | 6 | 5 | 1 | 9 |
| 3 | 1 | 9 | 5 | 7 | 8 | 6 | 4 | 2 |
| 6 | 5 | 2 | 9 | 4 | 1 | 7 | 3 | 8 |
| 9 | 3 | 1 | 8 | 6 | 5 | 4 | 2 | 7 |
| 2 | 6 | 7 | 4 | 1 | 3 | 9 | 8 | 5 |
| 5 | 4 | 8 | 7 | 9 | 2 | 1 | 6 | 3 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 4 | 3 | 6 | 7 | 1 | 9 | 5 | 8 |
| 5 | 1 | 6 | 9 | 4 | 8 | 7 | 3 | 2 |
| 8 | 9 | 7 | 3 | 5 | 2 | 1 | 6 | 4 |
| 4 | 8 | 2 | 5 | 3 | 9 | 6 | 1 | 7 |
| 3 | 7 | 1 | 8 | 6 | 4 | 5 | 2 | 9 |
| 9 | 6 | 5 | 1 | 2 | 7 | 4 | 8 | 3 |
| 1 | 3 | 9 | 7 | 8 | 6 | 2 | 4 | 5 |
| 7 | 2 | 8 | 4 | 1 | 5 | 3 | 9 | 6 |
| 6 | 5 | 4 | 2 | 9 | 3 | 8 | 7 | 1 |

მე-13 გვერდი: 1. ვალჰალა; 2. სტიუარდესა; 3. ისლა; 4. „ბელტიყლაპია“; 5. სემირამიდა; 6. ეგერი; 7. ტუი; 8. ყვავი; 9. „დეკამერონი“; 10. ივან; 11. „სანტოსი“; 12. არა; 13. ლია; 14. გეა; 15. ირონია; 16. მიკი; 17. ოე; 18. გენი; 19. დჰაულაგირი; 20. იარა; 21. კიბე; 22. კასიო; 23. არალი; 24. ბის; 25. ეხი; 26. ბაქო; 27. კალორია; 28. ალი; 29. მეგ; 30. იაფეტი; 31. ბაგირა; 32. იდენი; 33. გერუსია; 34. სენა; 35. ფსოუ; 36. უბადლო; 37. რაი; 38. იბნ; 39. ისლანდია; 40. ტუია; 41. უთო; 42. ადიტი; 43. უიკენდი; 44. იანი; 45. დუ; 46. ავლაბარი; 47. ორდინატი; 48. პნომპენი; 49. ბონდი; 50. იოლი; 51. ზვარი; 52. ოდენსე; 53. „ბენტლი“; 54. ნეკნი; 55. დილოგია; 56. იუანი; 57. ლინეი; 58. ნოკდაუნი; 59. კოკაი; 60. ჯაზი; 61. დალმატინი; 62. ნული; 63. ნინევია; 64. ლიპი; 65. თეო; 66. „ნოკია“; 67. პასადენა; 68. სერ; 69. ლეი; 70. იგლუ; 71. აუტი; 72. ეკი; 73. იურთი; 74. სირია; 75. ტერ; 76. ავია; 77. იეტი; 78. იდიია; 79. ბოისე; 80. კიკრიკიკო; 81. სიუ.

მე-16 გვერდი: 1. კონსპირაცია; 2. პფაიფერი; 3. ფოიერვერკი; 4. იორდასალამი; 5. არზა; 6. ისლამი; 7. ქარაშოტი; 8. ფრიადი; 9. იანუსი; 10. ექსცესი; 11. რეზულტატი; 12. იოფე; 13. რაბინი; 14. ალუ; 15. ნესვი; 16. ლომონოსოვი; 17. „არმინია“; 18. სტელა; 19. დოიაშვილი; 20. სოს; 21. ბოი; 22. ლარსი; 23. ვიაგრა; 24. ლამანტინი; 25. სამიტი; 26. ჯღა; 27. ფატა; 28. მნე; 29. სეკანსი; 30. მის; 31. აჯა; 32. ელიტა; 33. ანგინა; 34. ვივერა; 35. ვალეტი; 36. როდენი; 37. მღიერი; 38. პინკ; 39. კუნა; 40. ნოსოვი; 41. არამ; 42. სინაი; 43. რონია; 44. რულადა; 45. ერა; 46. აცე; 47. იდიში; 48. პა; 49. კუ; 50. ტონუსი; 51. სნო; 52. ვაი; 53. ინია; 54. მედიე; 55. ნეკნი; 56. ინტონაცია; 57. იმედი; 58. მერკუციო; 59. კანუ; 60. კიი.

1. ჯარების უფროსი, მხედართმთავარი
2. ჰაერის გარსი დედამიწის გარშემო
3. ცეკვის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში
4. აგამემნონის და კლიტემნესტრას ვაჟი
5. ადამიანი, რომელსაც დონორის სისხლს უსხამენ
6. საწარმოს აქციების მფლობელი
7. იგივეა, რაც არჩვი
8. ოცწახნაგა გეომეტრიული სხეული
9. ჟორჟ სიმენონის კომისარი
10. თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში
11. პატარა დროშა
12. ყბედობისთვის დასჯილი ნიმფა
13. სოფელი სენაკის რაიონში
14. თხრობითი გაულექსავი ლიტერატურა
15. პოეზიის ჟანრი
16. პარისის მიერ მოტაცებული ქალი
17. ჰოლივუდის ვარსკვლავი მიშელ ...
18. კედლის სანათი
19. ფრანგი მსახიობი ... ჟაკობი
20. აფრიკის სახელმწიფო ბურკინა ...
21. ხაზი სამკუთხედის წვეროდან მოპირდ. გვერდის შუამდე
22. ბეთჰოვენის 23-ე სონატა
23. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
24. მარტივი სასპორტო საფრენი აპარატი
25. კუნთის ანთება
26. კრივის მოედანი
27. ლონდონის ცნობილი აუქციონი
28. პატარა ფიცრები იატაკის გასაგებად
29. ბეთჰოვენის ოპერა
30. დუმბაძის მოთხრობა
31. გფრ-ის ყოფილი დედაქალაქი
32. სასულიერო მოღვაწე ... იყალთოელი
33. ალმასის მოძველებული სახელწოდება
34. კუზიანი ხარი
35. რომაელთა არტემიდე
36. ათენის საფეხბურთო კლუბი
37. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება
38. ლატვიის ცნობილი კურორტი
39. თბილისში დაბ. სომეხი მოჭადრაკე, მსოფლიოს ჩემპიონი
40. კაბის სიგრძე მუხლამდე
41. ბიბლიური პატრიარქი
42. ქალის სახელი
43. პურმარილი სასიამოვნო საქმის აღსანიშნავად
44. მოკრივე ... ტაისონი
45. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე
46. დანიის ადმინისტრაც. ტერიტორიული ერთეული
47. კომიკოსი ... დე ფიუნესი
48. წყლიანი ადგილი უდაბნოში
49. ინდიელთა ტომი
50. ჯუჯა კამეჩი
51. გერმანიის საფეხბურთო კლუბი
52. საშუალო ზომის აფრიკული ანტილოპა
53. არაბული ფლეიტა
54. აღტაცების გამომხატველი შეძახილი იაპონიაში
55. სულხან-საბას მშობლიური სოფელი
56. სპილენძის სასულე საკრავი
57. ყველაზე მსხვილი არტერია
58. ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (აბრევიატ.)
59. ოქროს ურდოს სარდალი
60. ილიას პოემა
61. ცისკარას სატრფო
62. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
63. ხეჩოს სატრფო
64. ოპერა „...-ჟუანი"
65. რომის იმპერიის პროვინცია
66. ჰოლანდიელი ფილოსოფოსი
67. ჯადოქრობა, მისნობა
68. კუნძულ კრეტის უმაღლესი მთა
69. იაპონური პოეზიის ერთ-ერთი ჟანრი
70. საერთო წარმომავლობის მქონე ადამიანთა ჯგ.
71. ურჩი, ზარმაცი პირუტყვი
72. მატონიზირებელი ცხელი სასმელი
73. ინგლისელთა ტრადიციული ლუდი
74. მსახიობი ... ჟირარდო
75. ფოლკსვაგ. მოდელი
76. ხვალის მომდევნო დღეს ანუ ...
77. თმის მცენარეული საღებავი
78. „ჯეოსელის" ზარათი
79. კათოლიკური მესა „... მარია"



# ყველაზე ბინძური ნივთები



აშშ-ს არიზონას უნივერსიტეტის მეცნიერმა, ჩარლზ გერბმა სახლში ყველაზე ჭუჭყიანი ნივთების გამოსავლენად კვლევა ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტი მიკრობი სამზარეულოს ხის დასაჭრელ დაფაზეა და მათი რაოდენობა 200-ჯერ აღემატება უნიტაზის საჯდომზე არსებული მიკროორგანიზმების რიცხვს. სწავლული გვირჩევს, რომ დაფის გარეცხვის შემდეგ, მას ძმარი ან სპირტი გადავავლოთ.

ბაქტერიების სიჭარბით, მეორე ადგილზე, სახლის ტელეფონის ყურმილი აღმოჩნდა, „საპატიო" მესამე ადგილი კი ჭურჭლის სარეცხმა ღრუბელმა დაიკავა. შემდეგ მოდის საშხაპის ფარდა, რომელსაც სახლის დალაგების დროს ხშირად ყურადღებას არც კი ვუთმობთ, შემდეგ ადგილზე სამზარეულოსა და საპირფარეშოს ნაგვისყუთებია. მეექვსე პოზიცია ჭურჭლის სარეცხმა მანქანამ დაიკავა — მისი კარი ისევე, როგორც მაცივრისა, მიკრობებისთვის საუკეთესო თავშესაფარია. ამ უჩვეულო რეიტინგს კი სარეცხი მანქანა ასრულებს. კვლევამ აჩვენა, რომ რეცხვის შემდეგ გადარჩენილი მიკრობები მანქანის დოლორაში რჩება, ამიტომ სწავლულის თქმით, კარგი იქნება, თუ თვეში ერთხელ მანქანას ცხელი წყლითა და ძმრით გამოასუფთავებთ.



# ჰოროსკოპი
## 27 იანვარი

**ვერძი** — ვერ ახერხებთ ემოციების მოთოკვას, იზრდება იმედგაცრუების ალბათობაც, ამიტომ დროებით გაერიდეთ მოვლენების ეპიცენტრს — სასურველია, დრო ხელოვნებას დაუთმოთ და კულტურულ ცხოვრებას ეზიაროთ.

**კურო** — არც ისე თავისუფალი ხართ, როგორც გგონიათ. ყოველ შემთხვევაში, მატერიალურმა მხარემ, შესაძლოა, ურთიერთობებში პრობლემები შეგიქმნათ. ცოტა დაბნეულიც ხართ და ამიტომ, თავი შეიკავეთ საქმიანი გარიგებისგან.

**ტყუპები** — შესაფერისი დროა თანამოაზრეებთან, მეგობრებთან, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისთვის. დღე არაპროდუქტიულია მუშაობისთვის. შეეცადეთ, დაისვენოთ და განიტვირთოთ, რათა მომდევნო დღეებისთვის ენერგია აღიდგინოთ.

**კირჩხიბი** — თქვენი მისწრაფება კომფორტისა და სიამოვნებისკენ ძალიან დიდია. ვარსკვლავები გირჩევენ, თვითკონტროლი მოადუნოთ და დღეს უარი თქვათ სამუშაოზე. იყავით თამამი და თავს მეტის უფლება მიეცით, თუმცა ემოციურობის გამოვლენაც არასასურველია.

**ლომი** — შეეცადეთ, გულთან ახლოს არ მიიტანოთ უფროსობის მოსაზრებები და განწყობა. ყველაფერი, რაც გსურს, ვერ ასრულდება, ამიტომ ნუ განერვიულდებით. გაავლეთ ზღვარი რეალობასა და თქვენს ფანტაზიებს შორის, კარგი დღეა ახალი საქმეების წამოსაწყებად.

**ქალწული** — სრული უფლება გაქვთ, მოდუნდეთ და სიამოვნება მიიღოთ. შეეცადეთ ზომიერი იყოთ ალკოჰოლთან მიმართებაში. თუ თქვენი საქმიანობა დაკავშირებულია ბიზნესთან, ფრთხილად მიუდექით ხარჯებს.

**სასწორი** — დღის განმავლობაში თანდათან გაიზრდება ინტერესი ამოუცნობი, რთული თემებისადმი. თქვენს ყურადღებას ექსპერიმენტები და კრიტიკული ვითარება მიიქცევს. წარსულს გადახედეთ და მოემზადეთ პრობლემების მოსაგვარებლად.

**ღრიანკალი** — პარტნიორთან ურთიერთობისას ბაქიაობას ნუ დაიწყებთ და მაქსიმალურად მოერიდეთ კონფლიქტს. ვიდრე ვინმეს ბრალს დასდებთ, საკუთარი საქციელი შეაფასეთ. დღე კარგია ქველმოქმედებისთვის.

**მშვილდოსანი** — ვარსკვლავები გირჩევენ, დრო სახლის საქმეებს დაუთმოთ, სამსახურში კი ძნელად გადასაჭრელი პრობლემები სხვა დროისთვის მოიტოვეთ. საღამო საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

**თხის რქა** — არ ღირს ყველაფერში ეკონომია. სჯობს, ახლობლები საჩუქრებით გაანებივროთ. ხასიათის რადიკალური ცვალებადობა უცხო არ იქნება — სიხარული მოულოდნელად შეიძლება წყენით შეიცვალოს. კარგი დღეა ახალი საქმის წამოწყებისა და შორეული მოგზაურობის დასაგეგმად.

**მერწყული** — დღის მანძილზე დიდია ალბათობა ახალი, მოულოდნელი ნაცნობობისა. შესაძლოა, ისეთი ადამიანი გაიცნოთ, ვინც არ იმსახურებს თქვენს ნდობას. მოსალოდნელია ცრუ ინფორმაციის მიღებაც, რაც ხასიათს გაგიფუჭებთ.

**თევზები** — გახსოვდეთ, რომ ფინანსების განკარგვა მხოლოდ თქვენი პრეროგატივაა და კარგი იქნება, თუ ამ საქმეში ჩარევის უფლებას ნაკლებად მისცემთ ვინმეს. მატერიალურ საფუძველზე წარმოქმნილი გაღიზიანება თქვენს შრომისუნარიანობაზეც უარყოფითად აისახება.

# რა ღირს ბედნიერება?



იმისთვის, რომ საშუალოსტატისტიკურმა ევროპელმა თავი ბედნიერად იგრძნოს, მისი წლიური შემოსავალი 36 ათას დოლარს უნდა შეადგენდეს, — ასეთ დასკვნამდე ინგლისელი და ამერიკელი ეკონომისტები მივიდნენ. მათ შეისწავლეს შემოსავლის გავლენა ევროპელების სულიერ მდგომარეობაზე. აღმოჩნდა, რომ თუ შედარებით ღარიბ ევროპულ ქვეყნებში საკუთარი მდგომარეობით კმაყოფილება შემოსავლის მიხედვით იზრდება, ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებში ეს მაჩვენებელი, 36 ათასდოლარიანი ზღვრის შემდეგ, თანდათან ქვეითდება. სპეციალისტების მოსაზრებით, ეს იმითაა გამოწვეული, რომ ზედმეტი ფული ადამიანს ახალ პრობლემებს უქმნის ისევე, როგორც არასაკმარისი შემოსავალი. მკვლევართა მონაცემებით, ამ მხრივ, ყველაზე ბედნიერი ევროპელები დიდ ბრიტანეთში ცხოვრობენ, სადაც საშუალო წლიური შემოსავალი 37 ათას დოლარს უტოლდება.

# ბიუსტჰალტერი მამაკაცებისთვის




იაპონური ინტერნეტმაღაზია საკუთარ კლიენტებს ბიუტსჰალტერებსა და აბრეშუმის ღამისპერანგებს სთავაზობს მამაკაცებისთვის. მიუხედავად ქსოვილზე არსებული ყვავილებისა და მაქმანებისა, თეთრეული სპეციალურად ძლიერი სქესისთვის, მათი ანატომიის გათვალისწინებითაა შექმნილი. მაღაზიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ახალი ხაზი მამაკაცებს საშუალებას მისცემს, ისეთივე რბილი და მდიდრული თეთრეულით ისარგებლონ, როგორსაც მშვენიერი სქესი იყენებს. ჯერჯერობით უცნობია, იქნება თუ არა ამომავალი მზის ქვეყანაში მოთხოვნა ახალ პროდუქციაზე, საცვლების ახალი ხაზი კი თავისუფალ გაყიდვაში უკვე მომავალი თვიდან იქნება.

# რძე გულისთვის სახიფათოა



ძროხის რძე ადამიანის ჯანმრთელობისთვის, შესაძლოა, საკმაოდ სახიფათო იყოს და როგორც შვედი სწავლულები აცხადებენ, მისი ყოველდღიური ნორმა ორ ფინჯანს არ უნდა აღემატებოდეს. მართალია, რძე, კალციუმის შემცველობის გამო, მეტად სასარგებლოდ მიიჩნევა, მაგრამ სწორედ ამ ელემენტს შეუძლია, გულსისხლძარღვთა დაავადებებით გარდაცვალების რისკი გაზარდოს, ეს კი მკვლევარებმა სუსტი სქესის წარმომადგენლებზე დაკვირვებით დაამტკიცეს.

ექსპერიმენტში მონაწილენი დღეში, საშუალოდ, 1,4 ლიტრ რძეს მოიხმარდნენ, მაგრამ ორგანიზმი ათვისებას ვერ ასწრებდა, შედეგად წარმოიშობოდა ნალექი, რომელიც სისხლძარღვთა ელასტიურობას ამცირებს, ამის გამო კი გულის დაავადებათა რისკი იზრდება.

რძისა და რძის პროდუქტის არასწორი გამოყენების მავნებლობაზე ჰარვარდელი სწავლულებიც საუბრობენ, რომელთაც ჩატარებული კვლევის საფუძველზე განაცხადეს, რომ, თუ რძე შაქარს ან სხვა დამატკბობელ ნივთიერებებს შეიცავს, ორგანიზმისთვის მავნეა.

# სუპერმარკეტებში ნარკოტიკი აღმოაჩინეს



ბერლინის პოლიციამ, დაახლოებით, 140 კილოგრამი კოკაინი აღმოაჩინა სავაჭრო ქსელის Aldi-ის მაღაზიებში. სამართალდამცავთა განცხადებით, ამოღებული ნარკოტიკების დიდი ნაწილი ორ სუპერმარკეტში აღმოაჩინეს, სადაც ბანანის ყუთებში 100 კილო კოკაინი იყო ჩამალული. აღმოჩენილი ნარკოტიკების ღირებულება 4-5 მილიონ ევროს შეადგენს. წინასწარი მონაცემებით, კოკაინი გერმანიაში სამხრეთ ამერიკიდან შევიდა, თუმცა ჯერ დაუდგენელია, ვის ეკუთვნის. კოკაინი სუპერმარკეტების თანამშრომლებმა აღმოაჩინეს, როცა ხილის ყუთები გახსნეს. პოლიციაში არ გამორიცხავენ, რომ ნარკოტიკის ტრანსპორტირებისას შეცდომა მოხდა და ის შემთხვევით გაიგზავნა ბერლინის მაღაზიებში.



# ჰოროსკოპი
## 28 იანვარი

**ვერძი** — წარმატებული დღეა. არც ერთი ამოცანა გადაუჭრელი არ დაგრჩებათ. ეცადეთ, მარტომ არ იმოქმედოთ და დასვენების გამოტანასაც ნუ იჩქარებთ, პირად ცხოვრებაში დღე მოულოდნელობებით აღსავსე იქნება.

**კურო** — დღე უამრავ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ჰპირდება მათ, ვისაც არა მხოლოდ პროფესიული წარმატების სურვილი აქვს, არამედ მეგობრებთან შეხვედრისთვის დროის გამონახვაც ყოველთვის შეუძლია. სამსახური და პირადი ცხოვრება მჭიდრო კავშირშია.

**ტყუპები** — საუკეთესო შედეგების მისაღწევად აქტუალური პრობლემებით დაკავება მოგიწევთ. მომავალზე ფიქრის დრო მოგვიანებით გექნებათ. შესაძლოა წარმატება კარიერაში, თუმცა მნიშვნელოვანია, კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან.

**კირჩხიბი** — აღმოაჩენთ, რომ ყველაზე რთული უკან მოიტოვეთ, თუმცა ნუ მოდუნდებით, რადგან დიდი ძალისხმევა გჭირდებათ დასახული მიზნის მისაღწევად. გადაწყვეტილებების მიღებისას ენდეთ ინტუიციას.

**ლომი** — საკმაოდ წარმატებული დღეა მათთვის, ვისაც პროფესიული ზრდის სურვილი აქვს. თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ, ემოციური ფონიც სტაბილურია.

**ქალწული** — ახალი შესაძლებლობები გეხსნებათ, რითიც დაუფიქრებლად უნდა ისარგებლოთ. კოლეგები და უფროსობა თქვენს პროფესიონალიზმს დიდად აფასებენ, ადვილად მოიპოვებთ მათ ნდობას, ვის მიმართაც გულგრილი არ ხართ.

**სასწორი** — საქმიანი ურთიერთობებისთვის საკმაოდ წარმატებული დღეა. განსაკუთრებით კი მათ გაუმართლებს, ვინც მივლინებაში გაემგზავრება. არ მოდუნდეთ და დასვენება სხვა დროისთვის გადადეთ — ახლა სამსახური თქვენგან თავდადებას მოითხოვს.

**ღრიანკალი** — სასიამოვნო დღეა, კომფორტული და მშვიდი. ასაღელვებელი არაფერი გაქვთ, თუმცა გარკვეული ცვლილებები მაინც მოსალოდნელია. შესაძლოა, სადმე გაემგზავროთ. არც პირადი ცხოვრება მოგცემთ შეშფოთების მიზეზს.

**მშვილდოსანი** — წარმატებას თქვენი უნარის წყალობით მიაღწევთ, რაც უცნობ ვითარებაში ადვილად ორიენტირებას გულისხმობს. ნუ დაიტვირთებით უინტერესო, მოსაწყენი საქმეებით. თქვენი ადგილი იქ არის, სადაც გამჭრიახობა და შემოქმედებითი მიდგომაა აუცილებელი.

**თხის რქა** — შანსი გაქვთ, მეგობრების წრეში დრო შესანიშნავად გაატაროთ, მაგრამ საორგანიზაციო საკითხების მოგვარება თავად მოგიწევთ. სამსახური დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს, მხოლოდ თვალი მიადევნეთ, სხვები რას აკეთებენ და კარგ მაგალითს მიბაძეთ.

**მერწყული** — ეკონომიური იყავით, წინააღმდეგ შემთხვევაში, უფულოდ დარჩებით. ზედმეტი მფლანგველობის გამო, გარკვეული გეგმების გადადება მოგიწევთ. შეეცადეთ, ამ მდგომარეობამ განწყობა არ გაგიფუჭოთ — პოზიტიური ტენდენციები იმდენად ძლიერია, რომ წარმატება არ დააყოვნებს.

**თევზები** — ნაკლებად სასიამოვნო დღეა — მოსაწყენი, გარშემომყოფებთან ურთიერთობაც გიჭირთ. შეეცადეთ, საქმიანობის ახალი სფერო გამოძებნოთ: გაქვთ შანსი, წარმატებას მიაღწიოთ. ახლობლებთან ურთიერთობა მოთმინებასა და კეთილგანწყობას მოითხოვს.

# სუდოკუმანია

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | 4 | | | | 3 | | |
| | | | | | 1 | | 5 | 7 |
| 5 | | | | | 9 | | | |
| 6 | | | 2 | | | 5 | | |
| | | | 6 | | 3 | | | |
| | | 9 | | | 5 | | | 3 |
| | | | 3 | | | | | 1 |
| 8 | 4 | | 5 | | | | | |
| | | 1 | | | | 6 | 2 | |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 8 | | | 4 | 1 | 9 |
| | | | | | 4 | | 3 | |
| 2 | 4 | | 6 | | | | | |
| 1 | | 7 | 4 | 9 | | | | 8 |
| | | | | | | | | |
| 3 | | | | 1 | 6 | 7 | | 4 |
| | | | | | 8 | | 7 | 5 |
| | 7 | | 3 | | | | | |
| 5 | 6 | 8 | | | 7 | | | |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | | | 1 | 4 | | |
| 5 | | | | | 2 | | | 8 |
| 2 | 1 | | 8 | | | | 6 | |
| | 9 | | 4 | | | 5 | | 3 |
| | | | | | | | | |
| 4 | | 2 | | | 5 | | 7 | |
| | 5 | | | | 6 | | 8 | 1 |
| 6 | | | 9 | | | | | 7 |
| | | 7 | 2 | | | | | 9 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 6 | | | | 9 |
| | 9 | | 3 | | 8 | | 7 | |
| | 4 | | 9 | 1 | 7 | | | 6 |
| | 6 | | | | | 8 | | 7 |
| 4 | | 9 | | | | 5 | | 2 |
| 7 | | 5 | | | | | 9 | |
| 2 | | | 7 | 9 | 3 | | 6 | |
| | 7 | | 6 | | 5 | | 2 | |
| 9 | | | | 8 | | | | |



## საუკეთესო საშუალება სტრესის წინააღმდეგ

ედინბურგის უნივერსიტეტის მკვლევარებმა სტრესის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებას მიაგნეს. მათი მოსაზრებით, ეს ბროწეულის წვენია. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ეს სასმელი სტრესის ჰორმონის დონეს აქვეითებს, ამშვიდებს ნერვებს და შრომისუნარიანობას ზრდის. ექსპერიმენტში 60 მოხალისე მონაწილეობდა. 14 დღის განმავლობაში მათ ყოველდღიურად ორ ჭიქა ბროწეულის წვენს ასმევდნენ. ამასთან, პირველ და ბოლო დღეს კითხვარი შეავსებინეს, სადაც საკუთარი განწყობის, სამსახურთან დამოკიდებულებისა და ხასიათის შესახებ უნდა ჩაეწერათ. აღმოჩნდა, რომ დღეში 250 მილილიტრი ბროწეულის წვენი ადამიანს ამხნევებს, ზრდის შრომისუნარიანობას და განწყობასაც ამაღლებს. მეტიც, ეს სასმელი საუკეთესო ანტიდეპრესანტია და სტრესის ჰორმონის — კორტიზოლის დონეს მნიშვნელოვნად ამცირებს.



## ვაქცინა ინფარქტის წინააღმდეგ

შვედმა მეცნიერებმა ლინდსის უნივერსიტეტიდან ვაქცინა შექმნეს, რომელიც ადამიანს გულსისხლძარღვთა ისეთი დაავადებების განვითარებისგან დაიცავს, როგორიც ინფარქტია. ვაქცინა განსაკუთრებული ქიმიური ნაერთია, რომელიც იმუნურ სისტემას ასტიმულირებს და უშუალოდ, დაავადების განვითარების მიზეზზე — ათეროსკლეროზზე ახდენს გავლენას, ათეროსკლეროზი არტერიების ქრონიკული დაავადებაა, თუ გულის მკვებავ არტერიაში თრომბი წარმოიქმნა, მიოკარდის ინფარქტი ვითარდება, ხოლო თუ ტვინის მკვებავ არტერიაში — სახეზეა ინსულტი. შვედების მიერ შექმნილი ვაქცინა ხელს უშლის სისხლში ქოლესტერინის დაგროვებას და არტერიების კედლებზე კოლტების წარმოქმნას, რაც პაციენტებს საშუალებას აძლევს, თავი დაიცვან ინფარქტისა და ინსულტისაგან. ამ ვაქცინასთან ერთად, სწავლულები ახლა აეროზოლის სახით პრეპარატის შექმნაზე მუშაობენ. როგორც ვარაუდობენ, ვაქცინა აფთიაქებში უახლოეს ხუთ წელიწადში გამოჩნდება.

## პრეზიდენტი ღალატში ამხილეს





საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი მეუღლეს, რომელთანაც სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფება, ცნობილ მსახიობ ჟული გაიესთან ღალატობს. ამ სკანდალურ ინფორმაციას ყოველკვირეული გამოცემა ჩლოსერ ავრცელებს და სტატიას დართული აქვს ფოტომასალაც. ახალი წლის დღეებში პრეზიდენტი ოლანდი მსახიობს ეწვია და იქ ღამის გასათევადაც დარჩა, — წერს ჟურნალი, პაპარაცებმა კი ოლანდი გაიესთან პარიზში სკუტერით სეირნობისას გამოიჭირეს, პრეზიდენტს დაცვის მხოლოდ ერთი წევრი ახლდა. გამოცემა იმითაც დაინტერესდა, რამდენად უსაფრთხოა ქვეყნის პირველი პირისთვის ცხოვრების ასეთი წესი, რადგან შესაძლოა, ის ბოროტმოქმედების მსხვერპლი გახდეს. ჟურნალი „ამტკიცებს", რომ პრეზიდენტი დაცვას მიჰყავს მსახიობის სახლში, სადაც დილამდე რჩება. ამ სკანდალურ ინფორმაციას ოლანდმა მალევე უპასუხა და ჟურნალის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. 41 წლის ჟული გაიეც უარყოფს ინფორმაციას, თითქოს პრეზიდენტის საყვარელია და სასამართლოს პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით მიმართავს. არადა, უკვე რამდენიმე თვეა, ფრანგულ ბლოგსფეროში აქტიურად დადის ჭორები ფრანსუა ოლანდის სავარაუდო რომანზე. ოლანდი ოფიციალურად მარტოხელად მიიჩნევა, თუმცა ის სამოქალაქო ქორწინებაში იყო სეგოლენ რუაიალთან — სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელთან და მათ ოთხი შვილი ჰყავთ, ამჟამად კი ჟურნალისტ ვალერი ტრიერ-ვეილეთან ცხოვრობს.




## დუბაიში ოქროს ჩაის აქეიფნებენ

დუბაიში არსებული კაფე Mocca Art კლიენტებს ოქროს ჩაის სთავაზობს, სპეციალურ, სარეკლამო ფასად — ფინჯანი 55 დირჰამად (დაახლოებით 15 დოლარი). ოქროს სასმელის მისაღებად გამოიყენება ჩაის ფოთლები, რომლებიც 22-კარატიანი ოქროს (91,67% სუფთა ოქროს) თხელი ფენითაა დაფარული, ასეთი ძვირფასი ნაყენის გამოყენება კი შესაბამისი საზედამხედველო ორგანოების მიერაა ნებადართული, როგორც ადამიანის ჯანმრთელობისთვის სრულიად უსაფრთხო. კაფეს მფლობელი, რომელმაც მსგავსი ჩაი ლონდონის ერთ-ერთ ოტელში გასინჯა და გადაწყვიტა, ეს სასმელი დუბაის ელიტისთვისაც შეეთავაზებინა, დარწმუნებულია, რომ ოქროს ჩაი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, ჩაის ფოთლები, ვიდრე ნაყენში მოხვდება, პლანტაციებიდან გერმანიაში იგზავნება, სადაც ოქროთი ფარავენ, იქიდან კი მაროკოში ინაცვლებს, სადაც ნატურალური დანამატები არომატს ანიჭებს. ეს ექსკლუზიური სასმელი, რომელიც უმალ შეიყვარეს კაფეს კლიენტებმა, საკმაოდ პოპულარულია ჩინეთში, ინდოეთსა და დასავლეთის ქვეყნებში.





1. დედამიწის შუაზე გამყოფი ხაზი
2. კარდინალთა საბჭო
3. კუზიანი კურდღელი
4. ცეცხლზე გამხმარი პურის ნაჭერი
5. მრგვლად გახეხილი ძვირფასი ქვა
6. ქანქარის უდიდესი გადახრა
7. პარიზის აეროპორტი
8. ხრიკი, ფანდი
9. ადამიანის „მეექვსე გრძნობა“
10. სამეტყველო ორგანო
11. შექსპირის ჯულიეტას გვარი
12. ტანსაცმლის ბრენდი
13. ფერადი ლითონი
14. მდინარე კასპის რაიონში
15. ავტომობ. სიჩქარის მაჩვენებელი ხელსაწყო
16. ვრცელი ველი ჩრდილოეთ ამერიკაში
17. სისხლის ავთვისებიანი დაავადება
18. ცხიმოვანი სიმსივნე
19. ავსტრალიური სირაქლემა
20. გამოუვალი მდგომარეობა
21. ქალაქი და მდინ. ნიგერიაში
22. ალეგორიული მოთხრობა
23. კვერცხისგულიანი საღებავი
24. მიმართვა პოლონელი მამაკაცისადმი
25. კონტინენტი
26. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია
27. ცხენის კუდის ბეწვი
28. აშშ-ის ტელეპრემია
29. „სისხლის მწოველი“ არსება
30. პლატონ სამანიშვილის სიძე
31. მამალი ცხენი
32. კუზიანი ხარი
33. სამწნილე ბალახოვანი მცენარე
34. ბამბუკის დათვი
35. იგივეა, რაც ბზიკი
36. მდინარე იტალიაში
37. ინგლ. გუნდი „...ვილა“
38. ხისძირ. ფეხსაცმელი
39. რბილი ტყავი
40. ჩინელთა ბელადი
41. ხმელთაშუა ზღვის ნაწილი
42. უნგრული სადესერტო ღვინო
43. ფსიქ. აშლილობის ფორმა
44. რუსი საბჭოთა ფიზიკოსი
45. მილა იოვოვიჩის კინოროლი
46. იგივეა, რაც ჭრილობა
47. ნაკეცები ქსოვილზე
48. სამი წერტილი კამათელზე
49. იგივეა, რაც მინანქარი
50. გერმანული ფოლკლორის გმირი ... ულენშპიგელი
51. ბრიტანული ყოველდღიური გაზეთი
52. ეკვადორის დედაქალაქი
53. ინდიელთა ტომის წინამძღოლი
54. უმაღლესი დანიშნულება, საპასუხისმგებლო როლი
55. „რუსთავი2“-ის საინფორმ. გადაცემა
56. მონღოლი თავადი
57. ბიძინა ივანიშვილის რეპერი ვაჟი
58. ავსტრალიის დედაქალაქი
59. მაუგლის პითონი
60. დაბალი დივანი
61. მუსიკ. გამის VI ნოტი
62. დიდი, საზეიმო ხასიათის ვოკალურ-ინსტრუმენ. ნაწარმოები
63. ვერცხლისწყლის მოძველებ. სახელწოდ.
64. მსახიობი ... დელონი
65. ფრანგი მოდელიორი აზედინ ...





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

## შენდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**

**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

**ალექსანდრე ფურცელაძე**
**მისამართი: ნუცუბიძის №16ა**
**ტელ.: (5)99 22 98 33**
**ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com**



# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.